

ნებისძალა

საერთაშორისო
შეჯიბრება

140
2002/2



ანსაზმული „სსიუი“



თბილისის 55-ჯეოჯ. II კლასი.
სკოლმძღვანელი ნათია თასაჩხაძე



წმინდა ნინო

ქალწულად ნინო, ეშვემა ჩბდილებით:
დალუქსულ თეთლებში მზისთვალის დაღვარული,
ჩვენ, დანებულნი და გულასდილები,
შენ წინ ვეთინებით უმბრეცი სიყვარულით.

მცხეთას ბამ მთგესმა ნელი სმა წევითგან
—გული ღვთისმშობლის ჩვენთვის სამ უსვია—
ჯვარი გამთქერი უაზის ნასსლაჟიდან
და ცხელი ჭბილთმა თმუბით შეუხვით.

ღვთიურბი ცვიული და აბა წამება
იყდ აქ, გვითსბბმუნ ამას ჩვენ მამუბი.
აბ გვინდა, დედათ, სსვა ჯვარი შობწების.
აბ გვინდა სსვა მიწა და სსვა ნასსლეუი!
უიციო: შენი ჯვარი ლსინია ლუნწამის—
ცთცემს აიყბიან მუცი ასელებით,
ბბცა გადასსლაჟუნ სსსცივი სსსსლაჟით.
ქალწულთ ნინო, ათასჯერ გვენასე!
შენ გვალუქსება დედული უნასი.
ღვთიურბ ანთუბული ჩვენს მიწას ევნებ
—სსვა ბბგბბ ვიგაღბთ აქ შენი ნაცვალბ?
გვარბი ბამ გაიული, ჩაცურსულ მცვიუნების
მზის თვალბთ იუსება ყბული მბბცვალბ.
შბბბითგან გიყურებმს, აეს ბამ აგამბბბს,
სბმასლამბბლებული მზიუჯაჟი ლამასბი.
ის აბის იურბის მცვიული და მზერბაჟი
და ჯვარს უაზისა წასბბთმუეს ურბა უინ!

ნათულთ ნინო! უბთ მიწის სნულუბი,
შენ წინ გადასსნილან აწ ჩენი გულუბი.
მბ, გადაგვიბბ, მულს გადაუბბრბბით,
და ცურბუბს დაგვიბბცნბთ მბგბბი ცურბბბით.

დათ და დედათ,
ღვთისმშობლის დბბბლბთ,
უბბთ შენგე დანდბბბილი
და შენი შენდბბბით
აბ გადაუბბნდებბით!

მ. რ. როზანოვი



ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2002 წ. № 7

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიძაძულოდ მამულიძე-ლთა მესხიერძემით დაარსებული პირველი ქართული საცემ-წვილო ჟურნალის ნათესავად ამდგრილი. მთავარი მიზანია მას სახელი შეეცვალოს და „პიტონი“ ეწოდოს, 1990 წლიდან კი იგი ვლადიმერ თაყაიშვილის პირველი სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ _____	2
ბავშვები წიგნებისკენ უნდა შემოვებრუნოთ. (საუბარი თბილისის 112-ე სკოლის დირექტორთან) _____	3
მორის ჟანი—ფარფუნეს განძეული (მოთხრობა) _____	6
იცნობდეთ — ქორეოგრაფიული ანსამბლი „სხივი“ _____	8
„ოდოშერი“ (მოსწავლეთა შემოქმედება) _____	9-22
უშურველად გაღებული სიტბო _____	10
ჩემს პლანეტას ჰქვია... (საკონკურსო მოთხრობა) _____	11
წერაქვი (ლიტერატურული გეოგრაფია) _____	13
მსოფლიო კიდით კიდემდე _____	14
ტესტი _____	15
გაუმარჯოს ცირკს (კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი)! _____	16
კომპიუტერის ავი და კარგი _____	19
ჭიანჭველების ენა (ბუნების კარი) _____	21
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის“ _____	24
ხუთკუნწულას გვერდი _____	27
თუ ჯერ არ წაგიკითხავს _____	28
სიცილის გაკვეთილი _____	30
კომიქსის შესახებ _____	31
დეტექტიური თავსატეხი _____	32

რედაქტორი მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157

ფასი 1 ლარი 50 თეთრი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

მეზობელი

ამ თვის სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „ოქტო“, რაც რვა ნიშნავს. დღევანდელი მეთავე თვე ძველი რომაული კალენდრით მერვე იყო და ამიტომაც ოქტომბერი უწოდეს.


ვნახოთ, როგორ ახასიათებს ოქტომბერს ჩვენი ბუნების მინდია, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი:

„შაერში აშკარად შემოდგომის სუნი ტრიალებს, ცა მეტისმეტად წმინდა და გამჭვირვალეა. მთები უფრო გალურჯდნენ და ცის დასავალზე მკაფიოდ მოჩანან... მთის წვერებზე ჩამოთვია, უფრო მეტად შექალარავდა მკერდგანიერი კავკასიონი. ზაფხულშიც თოვლიანი ფშვ-ხევსურეთის, რაჭა-სვანეთის და ხევის მთათა წვერები კი უფრო გათეთრდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი თოვლი მოვიდა. ცხვრის და ძროხის მთის ბინებში ცეცხლი ჩაქრა, სიცოცხლე მინელდა. ჯიხვი, ფსიტი და ნამორი ტყეში ჩამოვიდა, მზიან დღეებში თუ გამოდიან მდგლოვებზე. იშვიათად ფასკუნჯი და ორბი უვლის წრეს მაღალ ცაში. ფარამ, არვემ, მროწლემ და რემამ უკვე ჩამოიბარეს, ალაზნის, ივრის, მტკვრის, არაგვის, ალგეთის, ქსნის და სხვა მდინარეთა ჭაღებში სძოვენ. მუხიანებში ღორის კოლტი დაღრუტუნებს, ნაქარ წიწიბოს, რკოს, სხვადასხვანის ნაყოფს ახრამუნებს. ჭაღებში ვკრხვის და ლაფნის ფოთოლი შეყვითლდა, ნიკერჩხლისა—შეწითლდა. მაღალ მთის ტყეში ფოთლომა უფრო მძაფრად იცვალა ფერი. მთის მუხაკი ისევე მწვანედ გამოიყურება. ცირცელის ნაყოფის წითელ კუნწულებს ტოტები ძირს დაუხრია და დროშასავით ანთია; კაკლის, წიფლის, წაბლის და თხილის ნაყოფი შემოსულა და ძირს ცვივა. მოუსვენარ ციყვს ზამთრის მოსვლა უგრძობია და ზიდავს და ზიდავს საგზაღს.

ტყუილად კი არ ეძახდნენ ძველად ამ თვეს რთველის თვეს, ამჟამად კი ჩვენში, ბევრგან—ღვინობისთვესა და მწიფობის თვეს. მართლაც ვენახებში რთველია გახურებული. საწნახელისაკენ მიდის და მიდის ყურძენი: რქაწითელი, საფერავი, მწვანე გორული, ჩინური, შავკაპიტო, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ჩხავერი, ოჯაღეში, ალექსანდროული, უსახელაური და მრავალი სხვა. აივნის ბოძებზე, სახლის წინ გამართულ ხარხებზე გაჩნდა ჩურჩელით სავსე სარები, მსხლის და ყურძნის ჯაგნები, აკიდოები, ჩხები, თხელი ფიცრები ტკბილის კვერით, ეზო აივსო ჩირის ლასტებით და ხახლებით. სხვენში ჰკიდია ნივრისა და ხაზვის გრძელი გალები.

კოლხიდის ბაღებში და ეზო-გარემოში უფრო მეტად შეყვითლდა აღმოსავლური ხურმა და კომში; ციტრუსოვანთა პლანტაციებში დამსხვილდა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. მიწოდორში სიმინდის ტეხვაა გაჩაღებული, ბოსტნებში იღებენ სუფრის ჭარხალს, სტაფილოს, პამიდორის უკანასკნელ მწიფე მოსავალს...

თვის დასასრულს დილის სუსხი მატულობს, თრთვილი უკვე ხშირია. ჩაიზიდა, ჩაბარდა, ჩაბინავდა მოსავალი, სწორედ ამიტომაც, რომ თვის ბოლოში ბევრგან აიჭრება ხოლმე სიმღერა ცამდის, ჩანს, სადღაც ქორწილია გაჩაღებული, სადღაც ლხინია...



უკეთესი მომავლის იდეით

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 9-17 წლის ბავშვებისა და მოზარდების გამოკითხვაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 400-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვას უნდა დაედგინა თუ რას ფიქრობენ გოგო-ბიჭები საქართველოს და საკუთარ მომავალზე, ოჯახზე, დღევანდელ ხელისუფლებაზე, სკოლაზე და გრძობენ თუ არა თავს ბედნიერად. როგორც გამოირკვა, გამოკითხვის მონაწილეთა 62 პროცენტი ქვეყნის პრეზიდენტს უნდობლობას უცხადებს, ოდნავ ნაკლები, 60 პროცენტი არ ენდობა მთავრობას, 58 პროცენტი კი—პოლიციას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი უკმაყოფილოა ხელისუფლების დამოკიდებულებით ბავშვებისადმი. ყოველივე ამის მიუხედავად, ქართველ ბავშვებს უკეთესი მომავლის იმედი აქვთ და საქართველოს გარეთ ცხოვრებაზე მხოლოდ 18 პროცენტი ოცნებობს.

აზერბაიჯანელ ბავშვებს სასკოლო ენა ებოძინებათ

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს სკოლაში ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში მა-

"ნაპაღალი" საინფორმაციო სააგენტო "ფაქსი"

სპინძელთა გარდა ამ რაიონის აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების იორმულანლოს და დუზაგრამის სკოლების მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამ სკოლებში სამი წლის წინ გახსნილი ქართული სექტორების აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა მშვენივრად ისაუბრეს ქართულად. ამ დღეს სტუმრად მიწვეული საქართველოში აზერბაიჯანის ელჩი ჰაჯან ჰაჯიევი, რომელიც თავად იორმულანლოელი გახლავთ, მიესალმა თანამოძმეების მზადყოფნას იცოდნენ საქართველოს სახელმწიფო ენა.

საჩუქრები მესტიელ მოსწავლეებს

საქართველოს განათლების სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფმა მესტიელ მოსწავლეებს ხუთი კომპიუტერი და 300 სახელმძღვანელო ჩაუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან სვანეთის რაიონულ ცენტრში კომპიუტერული ცენტრი იმუშავებს. საჩუქრად ჩატანილი სასკოლო სახელმძღვანელოები კი ასე გადანაწილდა—185 სახელმძღვანელო მესტიის პირველი და მეორე საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებს გადაეცა, დანარჩენი 115 კი—სოფელ წვირმის მოსწავლეებს.



111 წლის სკოლის ახალსახლება

საზეიმო ვითარებაში შეაბიჯეს 111 წლის საჩხერის №2 საშუალო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებმა ამერიკელთა დახმარებით აღდგენილ-განახლებულ შენობაში. აღდგენა ჰქვია, თორემ სინამდვილეში ეს თითქმის ახალი შენობაა. სკოლის აღჭურვაზეც ამერიკელებმა იზრუნეს, ისე რომ დღეს განათლების ერთ-ერთ უძველეს კერაში საუცხოო პირობებია შექმნილი.

ქორაღების ნე- ტროში სემსობრივი განათლება

სასტუმრო „მეტეხი-პალასში“ გაიმართა სამდღიანი კონფერენცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, რომელიც მოზარდთა სქესობრივ განათლებას და ნარკომანიის საკითხებს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას სახელზე. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ექიმების მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს სასწავლებლებში დასანერგი პრევენციული პროგრამები.



ბავშვები წიგნისაკენ უნდა შეამოვანებრონეთი

-ბატონო დემურ,
თქვენ არცთუ დიდი ხა-
ნია ამ სკოლის დირე-
ქტორი ბრძანდებით, რა
ვითარებაა, როგორი კე-
ლაგობიური კოლე-
ქტივი, როგორი მოსწა-
ვლები დახვდათ?

—მოგესხენებათ, ჩვენი
სკოლა რუსთაველის სახე-
ლობისაა და ეს ბევრს გვა-
ვალებს ყველას—მასწავლე-
ბლებსაც და მოსწავლე-
ებსაც, ვცდილობთ, ვიყოთ
დიდი შოთას სახელის დი-
რსნი, თავის შერცხვენის
უფლება უბრალოდ არა გვა-
ქვს...

ადრე ჩვენი სკოლა რკინი-
გზის უწყებას ეკუთვნოდა და
კერძო სახლის მოძველებულ
შენობაში იყო განთავსე-
ბული. 1960 წელს რკინი-
გზის № 1 სკოლა ქალაქის №
112 სკოლად გადაკეთდა, კი-
დეგ სამი წლის შემდეგ კი,
მან ახალ შენობაში დაიდო
ბინა, დღესაც ამავე შენო-
ბაში ვართ. ვერ ვიტყვი, რომ
ცუდი პირობები გვაქვს, თუ-
მცა დრო, განათლების სი-
სტემაში დაწყებული რეფორ-

მანამდე იდგნოთ თბილისის შოთა ბრძანაველის სახე-
ლობის 112-ე საშუალო სკოლის დირექტორს მაცნე დე-
მურ კლანდაძეს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. 25 წლის ასაკში
დაინიშნა თბილისის 48-ე საშუალო სკოლის დირექტო-
რად, შემდგომში ქოქის მანძილზე კომპიუტერულ და
პატივით სამუშაო იყო. 1985 წლიდან მუშაობდა ასლა-
ტის სახელმწიფო საცდის საბინის განათლების განყოფი-
ლების გამგედ. 2002 წლის თებერვლიდან 112-ე საშუ-
ალო სკოლის დირექტორია. მინიჭებული აქვს განათლე-
მის წარმომადგომლის წოდება, დაჯილდოებულია ღირსე-
მის თბილით.

რმა, ჩვენი სამომავლო გე-
გებები, ჩანაფიქრები, იდეები
უფრო უკეთეს მატერი-
ალურ-ტექნიკურ ბაზას მო-
იხივს, მაგრამ არ ვწუწუ-
ნებთ, მომავალს იმედით ვუ-
ყურებთ...

ძალიან კარგი, საინტე-
რესო, ძლიერი პედაგოგები
გვყავს, მათ შორის უმა-
ღლესი კატეგორიის მასწა-
ვლებლებიც არიან, მეთო-
დგანთიანების მეთოდო-
სტებიც. კოლექტივში ახა-
ლგაზრდა პედაგოგებიც
გვყავს და უფროსი თაობის
წარმომადგენლებიც, ყვე-
ლანი კი სიყვარულით, საკუ-
თარი პასუხისმგებლობის
შეგნებით, ერთგულად ვე-

მსახურებით ბავშვების
აღზრდა-განათლების საქმეს.
ბედნიერი ვარ, რომ დღეს
პედაგოგების სახით
ერთგული თანამოაზრეები
მყავს.

**-თქვენ, როგორც დირე-
ქტორი, რა სინახლეების
ბატარებას ვიქრობთ
სკოლაში?**

—ძალიან მაფიქრებს და
მაწუხებს ის გარემოება, რომ
ჩვენმა ბავშვებმა ზურგი
აქციეს წიგნს, წიგნისადმი
ინტერესის დაკარგვა უმე-
ცრებით, გაუნათლებლობით
ემუქრება თაობას, რომე-
ლმაც ხვალ-ზეგ საქართვე-
ლოს ბედ-იღბალი უნდა ჩა-
იბაროს. დროზე თუ არ

ავტენტუ განგაში და წიგნი-სკენ არ შემოვაბრუნეთ ჩვენი გოგო-ბიჭები, მერე სინანული გვიან იქნება. სკოლაში წიგნის კვირეული გამოვაცხადეთ, რომლის მიზანი სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-განახლება იყო, უნდა გითხრათ, რომ ამ კამპანიაში თითქმის ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. ბიბლიოთეკისთვის უფრონალ-გაზეთებიც გამოვიწერეთ, ურთიერთდამარების და თანამშრომლობის ხელშეკრულება დავდეთ ორთქლმავალ-ვაგონშენებელი ქარხნის კლუბის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკასთან. დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია თავი მოვიწონოთ საკუთარი ბიბლიოთეკით. მაგრამ თუ ბიბლიოთეკით, არ ისარგებლებ, მისი დანიშნულებაც დაიკარგება და ავდექით და წლევანდელი წელი წიგნის წელად გამოვაცხადეთ, ამ დონისძიების ჩარჩოებში თითოეულ მოსწავლეს, დაწყებული მეორე-მესამე კლასებიდან, საკუთარი ასაკის შესაფერისი ორი წიგნის წაკითხვა დაევალა. ლაპარაკია არა რაღაც სამგვერდიან ზღაპრებზე, არამედ სერიოზულ, სქელტანიან ნაწარმოებებზე. სიამოვნებით ღვნიშნავ, რომ ჩანაფიქრმა გაამართლა. ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც

გავაგრძელებთ. ვოცნებობ სკოლაში განტვირთვის ოთახების მოწყობაზე. კარგა ხნის წინ საშუალება მომეცა იტალიის სკოლებს გავცნობოდი. ბევრი რამ მომეწონა, ყველაზე მეტად კი განტვირთვის ოთახები. იცით, ასეთ ოთახებში კაუჩუკის კედლებია, დგას ადამიანთა ფიტულები, კიდეა მოკრივეთა სავარჯიშო „მსხლები“ და „მუთაქები“, აწყვია ბოთლები—აქ მოსულ მოსწავლეებს შეუძლიათ, რაც მოესურვებათ, ის წააწერონ ან მიახატონ კედლებს, ურტყან კაუჩუკს, ფიტულებს, „მუთაქებს“, ქვები დაუშინონ ბოთლებს... ეს მათ უარყოფითი ემოციებისგან დაცლაში, გათავისუფლებაში ეხმარება. ამის შემდეგ ბავშვები აღარც ფანჯრებს ამტვრევენ, აღარც სკოლის საპირფარეშოს კედლებს აჭრელებენ უხამსი წარწერებით თუ ნახატებით, აღარც ერთმანეთს ეჩხუბებიან. პირველად მაშინ დავრწმუნდი, რაოდენ საჭიროა სკოლაში ფსიქოლოგი. ჩვენს ბავშვებს დღეს აუცილებლად სჭირდებათ განტვირთვა, მათ უჭირთ დღევანდელი ცხოვრების სინამდვილის აღქმა, გაგება, გარდა ამისა, მათ ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს ის, რასაც ტელევიკრანზე თუ კომპიუტერული თამაშების დისპლეიზე ხედავენ, ამას

ასაკთან, სქესობრივ მოწიფულობასთან დაკავშირებული პრობლემები, მშობლებთან კონფლიქტებიც ემატება და გამოსავლის ძიებაში ფსიქიკაშერყეული მოზარდები აქეთ-იქით აწყდებიან. ვინ უნდა დაეხმაროს მათ, თუ არა ჩვენ, მასწავლებლები, მშობლები, ფსიქოლოგები?! ჩვენს სკოლაში კი გვყავს ფსიქოლოგი, მაგრამ უფრო დიდი ეფექტის მისაღწევ საშუალებად განტვირთვის ოთახების მოწყობა მესახება და როგორც კი მატერიალური სახსრები ამის საშუალებას მოგვცემს, უმალ შევუდგებით ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას, აუცილებლად უნდა დავეხმაროთ ჩვენს ბავშვებს ფსიქიკურ განტვირთვაში, სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში.

ახალი დანერგულია ჩვენს სკოლაში კონკურსი „ვინ რით ასახელა სკოლა“, რომლის მიზანია გამოავლინოს ამა თუ იმ საგნის საუკეთესო მცოდნე, ვთქვათ, საუკეთესო ფიზიკოსი, საუკეთესო ლიტერატორი, საუკეთესო ქიმიკოსი და ა.შ. შეიძლება ვიდაცამ სპორტში ან ხელოვნების რომელიმე სახეობაში გამოიჩინოს თავი. თუ ფინანსებმა საშუალება მოგვცა, გვინდა კონკურსის შედეგად გამოვლენილ საუკეთესო მოსწავლეებს სულ მცირე, სი-



მბოლური, წამახალისებელი სტიპენდია მაინც დავუნიშნოთ. ვქმნით ხელოვნების სტუდიას, გვინდა გოგონებისთვის კარატეს შემსწავლელი სექცია გავხსნათ, ვაპირებთ სასკოლო რადიოკვანძის ამოქმედებას, სკოლის გაზეთის გამოშვებას.

—დიან, როგორც ირკვევა, სქესობრივი განათლება ჩვენში ძალზე დაბალ დონეზეა, სკოლებში არ არსებობს სქესობრივი განათლების სახელმწიფო პროგრამა, ჩვენი ბავშვები ვერც ოჯახში დებულობენ სქესობრივ აღზრდა-განათლებას. შედე-

ისტორიულად ჩამოყალიბებული ზნეობისთვის ყოველად მიუღებელია, ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერის მომავლისთვის ეს მოვლენა უბრალოდ დამღუპველია. დღევანდელი ბიჭები მომავალში მამაკაცები, ქმრები და მამები უნდა იყვნენ და ეს მათ ამთავითვე უნდა შეიგნონ და გაიცნობიერონ, ასევე უნდა ვუნერგავდეთ გოგონებს, რომ ისინი მომავალი ქალები, ანუ პოტენციური ცოლები და დედები არიან. ვფიქრობ, რომ ოჯახთან ერთად ამ მიმართულებით ჩვენც აუცილებლად უნდა ვმუშაობდეთ.

-ბატონო დემურ, საუბრის დასაწყისში ჩვენ სასკოლო რეფორმა ვახსენეთ, საინტერესოა, რას ფიქრობთ თავად რეფორმაზე და მის მიმდინარეობაზე?

—ჩვენი განათლების სისტემა კარგა ხანია საჭიროებდა რეფორმებს, დღეს კი ეს უბრალოდ აუცილებელია, გარდაუვალია. შეუძლებელია, როცა ირგვლივ ყველაფერი იცვლება, როცა ცხოვრება ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, სკოლამ ფეხი არ აუწყოს დროს. დღესავით ნათელია, რომ რეფორმა აუცილებელია, მაგრამ იგი ერთადგილზე არ უნდა იტკეპნებოდეს, უნდა თანმიმდევრულად ხორციელდებოდეს.



ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული ბევრი რამ გვაქვს, ვნახოთ...

-როგორ გეხსიან ბავშვებთან დღეისათვის სკოლის უპირველესი ამოცანა?

—მე ამ ამოცანას ასე ჩამოვყალიბებდი: ყოველი მოსწავლის მოქალაქედ აღზრდა, პიროვნებად ჩამოყალიბება, მამაკაცად ჩამოყალიბება, ქალად ჩამოყალიბება.

-პირველიორი კუნძუტი სავსებით გასაგებია, რაც შეეხება მესამეს და მეოთხეს... თუ შეიძლება განგვიმარტეთ. ეს ალბათ სქესობრივ აღზრდას ეხება.

გად კი ჩამოყალიბდა პრობლემა, რომელიც ხელს შლის ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის ჩამოყალიბებას. ალბათ ყოველივე ამის შედეგია ისიც, რომ მთელი ჩვენი ერის სავალალოდ, ბოლო ხანებში მოგვიმრავლდნენ საყურეებიანი ჭაბუკები, გაუკუღმართებული სქესობრივი ორიენტაციის ახალგაზრდები, კინოფილმებიც და ტელეგადაცემებიც ხომ სულ იმას გვიჩიჩინებენ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და საგანგაშო არაფერია. შეიძლება ვინმესთვის ეს ჩვეულებრივი ამბავიც იყოს, მაგრამ ჩვენი, ქართველების

მორის უანი

ფარფუნეს განძეულება

მოთხრობა

არა, ფარფუნეს თავისი განძეული არც მღვიმეში აქვს დაფლული და არც სკივრში აქვს ჩაკეტილი (გამოქვავებული რომ ჩამოინგრეს ან სკივრის გასაღები რომ დაიკარგოს, მერე?!). არა, ბატონო, ფარფუნე ჭკვიანი კაცი გახლავთ. თავისი განძეული ყოველთვის თან დააქვს შარვლის ჯიბეებით. მიხვდებოდით, რომ ეს ჩვეულებრივი ჯიბეები არ არის. ისეა ხოლმე გატენილი, ლამის შუაზე გაიხეს.

—ჯიბეები კი არა, სატვირთო მანქანაა,—ბუზღუნებს მამა.

—ბიჭი კი არა, შარვლიანი საწყობია,—ჩავრობს დედა.

მაგრამ, მოდი, ვნახოთ, მაინც რა აქვს ფარფუნეს თავის საქვეყნოდ განთქმულ ჯიბეებში. აი, მარცხენა ჯიბის განძეული:

- სარეცხის სარჭი,
- ლურსმანი,
- შამპანურის საცობი,
- სამი ცალი წაბლი (კაცუნების გასაკეთებლად),
- ექვსი თავმომწვარი ასანთის ღერი (კაცუნების ხელ-ფეხისათვის),
- ლილი,
- ძაფის გორგალი,
- ქინძისთავი.

ახლა კი მარჯვენა ჯიბის სიმდიდრითაც დატკბით:

- ხის სასტვენი,
- ცხვირსახოცი (თითქმის გაქათებულთ),
- ლოკოკინა (ცხვირსახოცში გამოხვეული),
- ოთხი ცალი შუშის ბურთულა,
- ექვსპირიანი დანა (ერთი პირიდა აქვს შემორჩენილი),
- ძაფის კოჭი (ცარიელი),
- ფერადი ფანქარი,
- ერთი მუჭა ხმელი ლობიო,
- პატარა ზარი (ცოტა საღებავი აქვს შემოცლილი, მაგრამ მაინც კარგად წკარუნებს: ძინ-ძინ),
- დასაკეცი მეტრიანი (შუაზე გადატენილი, მაგრამ მაინც ვარგა).

თუმცა ფარფუნეს შარვლის

უზარმაზარი და ღრმა ჯიბეები აქვს, მაგრამ მთელი მის ავლა-დიდებას მაინც ვერ იტევს და ამიტომ მოზრდილ ნივთებს ფა-



რფუნე სასკოლო ჩანთაში ინახავს. აი, მაგალითად, ამ დილით, სკოლაში წასასვლელად რომ მოემზადა, კუ ადელი და მტრედი ლუსტუკრუ ჩაისვა (ფიქრი ნუ გაქვთ, მტრედიცა და კუც მიჩვეულები არიან სასკოლო ჩანთაში ჯდომას, თანაც ფარფუნე ძალიან უფრთხილდება მათ).

მიდის ფარფუნე სკოლაში და იღიმება.

„ღღუ-ღღუ“—ღუღუნებს ჩანთაში თავისთვის ლუსტუკრუ. „ხრამ-ხრამ“—ახრამუნებს სალათის ფოთლებს კუ ადელი და სულაც არ ედარდება, რომ სკოლაში მიბრძანდება.

ფარფუნე დინჯი ადამიანია.

ერთი შეხედვით შეიძლება დოცლაპიადაც მოეჩვენოს კაცს, მაგრამ ასე სულაც არ არის. გონება სულ დაძაბული აქვს, თვლებს სულ აქეთ-იქით აცეცებს, ხან მარჯვნივ იხედება, ხან მარცხნივ. რამდენი საინტერესო რამის დანახვა შეიძლება ამ უკიდებანო სამყაროში. აი, თუნდაც გუშინ: გზაში არტისტივით ფარჩის კოსტუმში გამოწყობილი ჭრიჭინობელა, დიდი ხოჭო და მწვანე ბაყაყი შემოხვდნენ. ვინ იცის, იქნებ დღეს ბედმა გაუღიმოს და ენძელას მოჰკრას თვალი, ან სულაც თავკომბალებს წააწყდეს! ხვალ-ზეგ კი იქნებ ხვლიკი დაიჭიროს, ან ერთი მუჭა თხილი მოკრიფოს და ქამა სოკოებსაც მიავსოს!

ფარფუნეს გატენილი ჯიბეები რომ დაინახა, მასწავლებელი გაჩავრდა:

—ეს რა ამბავია! ახლავე ამოალაგე ჯიბეებიდან ყველაფერი!

ფარფუნემ ფრთხილად ამოალაგა ჯიბეებიდან თავისი განძი და მაგიდაზე დააწყო.

—ლოკოკინაც ჯიბეში გეჭდა? როგორ არა გრცხვენია!

ფარფუნემ თავი ჩაღუნა, იფიქრა, ჭეჭა-ქუხილი მალე გადაივლისო. მადმუაზელს ფარფუნეს ჩანთაში ჩახედვა დაავიწყდა, ისე რომ ადელი და ლუსტუკრუ გადარჩნენ. ბიჭს სახე გაუხნათდა.

მაგრამ ერთხელაც კლასში კინალამ მელნით სავსე ბოთლი წააქციეს და სასწრაფოდ საცობი დასჭირდათ.

ისე უცბად სად უნდა მოენახათ საცობი? რა თქმა უნდა, ფარფუნეს მარცხენა ჯიბეში!

გაგრძელება მე-8 გვ.



მერე იყო და მასწავლებელს კედელზე ისტორიული სურათი უნდა ჩამოეკიდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჭიკარტების წამოღება დაავიწყდა.

ამჯერად ფარფუნემ ლურსმანი და სარეცხის სარჭი დააძვრინა ჯიბიდან.

ართმეტიკის გაკვეთილზე კი ყველა მშვიდად არის ხოლმე. მასწავლებელიც, ფარფუნეც და დანარჩენი მოსწავლეებიც. ფარფუნეს ყოველთვის თან დააქვს დასაკეცი მეტრიანი, სამი ცალი წაბლი, ერთი მუჭა ხმელი ლობიო, შუშის ოთხი ბურთულა და ძაფის გორგალი—ანგარიშისთვის კი მეტი რაღაა საჭირო?

—რა ჯანდაბაა?! ვერაფერი გამოიგია,—ხელები გაშალა ფიზკულტურის მასწავლებელმა,—თითქოს ამ წუთში ხელში მეჭირა სასტვენის და რა იქნა, მიწამ ჩაყლაპა თუ რა?!

—ინებეთ,—მიუგო ფარფუნემ და მარჯვენა ჯიბიდან თავისი ხის სასტვენი ამოიღო.

ნაშუადღევს მოულოდნელად გაწვიმდა. სკოლა სოფლის ბოლოში იყო და ასეთ თავსხმაში ულაბადოდ სანამ კაცი სახლამდის მიაღწევდა, გვარიანად დასველდებოდა. რა უნდა ექნათ?

—ცოტა მოვიცადოთ, იქნებ გა-

დაიღოს,—გადაწყვიტა მასწავლებელმა.

ბავშვებმა ცხვირი ჩამოუშვეს. წვიმის გადაღებამდე სკოლაში ჯდომა სულაც არ ექაშნიკებოდათ, მითუმეტეს, რომ შიმშილისაგან მუცელი უყურყურებდათ.

უცებ ფარფუნემ ხელი ასწია.

—რა ხდება, ფარფუნე?—ჭკითხა მასწავლებელმა.

ბიჭმა ბარათი გაუწოდა:

„მამა! თუ შენი ფურგონით არ მოგვაკითხავ და არ წავგიყვან, ყველანი გავცივდებით.

ფარფუნე“.

—ძალიან კარგი, მაგრამ ამ ბარათს ვინ წაიღებს?

—ვინ?! —გაიკვირვა ფარფუნემ,—ვინ და ლუსტუკრუ!

—ლუსტუკრუ?!

—ფარფუნემ ჩანთა გახსნა და მტრედი ამოიყვანა. კლასს ხარხარი აუტყდა. მასწავლებელმა კი ამჯერად თავი შეიკავა, არ გაუჩავრდა ფარფუნეს.

ბიჭმა მარცხენა ჯიბიდან ძაფის გორგალი ამოიღო, ძაფით მტრედს ფეხზე ბარათი მიაბა, ფანჯარა გააღო და შესძახა:

—აბა, შენ იცი, ლუსტუკრუ, იჩქარე!

რამდენიმე წუთში სკოლის წინ სატვირთო მანქანა გაჩერდა.

—აბა, მარდად, ჩასხედით მანქანაში!—მხიარულად შეუძახა ფარფუნეს მამამ ბავშვებს.

მასწავლებელი კაბინაში ჩაჯდა, ფარფუნე გვერდით მიუჯდა. საერთოდ ფარფუნე თავმდაბალი კაცია, მაგრამ ახლა ლამის გამირად გრძნობდა თავს.

ფარფუნეს მამამ ყველანი სახლებში ჩამოარიგა. მერე მასწავლებლის ჯერიც დადგა. მანქანიდან გადმოსვლისას მან

მადლობა გადაუხადა მძღველს, რა თქმა უნდა, ფარფუნესაც.

—შენ რომ არა, ნამდვილად გავცივდებოდი, სურდოს ავიკიდებდი, უთხრა მან ბიჭებს.

ფარფუნემ გაიღიმა.

მანქანა ის-ის იყო უნდა დაძრულიყო, რომ არფუნემ საჩქაროდ გააღო კაბინის კარი, ძირს ჩამოხტა და ჩაიშუხლა:

—რა იყო, რა დაინახე?—ჭკითხა მამამ.

ფარფუნეს მისი ხმა არც კი გაუგონია.


—მასწავლებელო!— შეჰყვირა ბიჭმა.

მასწავლებელი მოტრიალდა. ფარფუნეს წვიმისთვის ყურადღება არ მუქცევია, მასწავლებელთან მიიბრინა და ციციქნა მწვანე ბაყაყი გაუწოდა.

—ეს თქვენთვის მიჩუქნია.

ბედნიერ ფარფუნეს ისე უბრწყინავდა თვალები, რომ მასწავლებელმა უარი ვეღარ უთხრა და სველი, ცივი ბაყაყი ხელში აიყვანა. ჯერ კი შეეზინდა, მაგრამ მაშინვე დაინტერესდა და პატარა ჩიტივით ხელისგულზე დაისვა, მერე მანქანისაკენ მიბრუნდა და ბიჭს ხელი დაუქნია. გმადლობთ, ფარფუნე!

თარგმნა ნ. ფურცელაძემ



სახლური ცეკვის შემსრულებელი

ანსამბლი „სხივის“

სახლური ცეკვის შემსრულებელი უბრალოდ ქორეოგრაფიული ტექსტის ინტერპრეტატორი კი არ უნდა იყოს, მან უნდა შეძლოს ცეკვის მეშვეობით მაყურებელს მშობელი ხალხის ისტორია, ეთნოგრაფია, ხასიათი, კულტურა, ზნე-ჩვეულებები, სულიერი სამყარო გააცნოს, ამდენად თითოეული, მოცეკვავის ოსტატობა მხოლოდ ამა თუ იმ ილეთ-მოძრაობის დახვეწილობითა და სრულყოფილებით კი არ ფასდება, არამედ ყოველივე ამის ცეკვის ენაზე გამოცემის უნართაც. ამ ჰეშმარით-

მართლიანად ამაყობს იმით, რომ სასწავლებელში მისი პედაგოგები იყვნენ დავით ჯავრიშვილი, ანტონ ჩხრაძე, სერგო გობეჯიშვილი, კონსტანტინე მანჯგალაძე, თენგიზ მაისურაძე, მინიელ შუბაშიკელი, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ იგი სასცენო ოსტატობას დაეუფლა და რაც მთავარია, ქართული სახლური ცეკვის სულს ჩასწვდა. შემოქმედებითი გზის დასაწყისში ჯერ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავდა (ქორეოგრაფი რეზო ჭოსონელიძე),

ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის სცენები. 1981 წელს იური ტორაძე წყალტუბოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქალაქო გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. შემდგომში, მან თბილისში გააგრძელა მოღვაწეობა, ამასობაში თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნე იმპრესარიო-მენეჯერის ფაკულტეტი დაამთავრა. ნიჭიერი, საინტერესო და გამოცდილი ქორეოგრაფის პროფესიონალიზმს მენეჯმენტის თეორიული ცოდნაც დაემატა და ახლა იური ტორაძე შემოქმედმა ისიც კარგად იცის, როგორ უნდა მიაწოდოს თავისი საქმიანობის შედეგი საზოგადოებას, როგორ დაინტერესოს სხვადასხვა ჯგუფის მაყურებელი ქართული სახლური ცეკვებით. 1996 წლიდან დღემდე იური ტორაძე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილებას უძღვება. დიდი დატვირთვის მიუხედავად იგი მეთოდურ ბროშურაზეც მუშაობს, რომელშიც გაანალიზებული იქნება ქორეოგრაფიული გაკვეთილის დაგეგმარება და სტრუქტურა.



2003 წელს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სხივი“ ცნობილ ანსამბლ „გორდასთან“ ერთად ჰოლანდიის ქალაქ როდენში ფოლკლორის ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. იური ტორაძე და მისი აღზრდილები ხუთი წლის განმავლობაში ყოველ ზაფხულს ჩავლენ როდენში და ჰოლანდიელ მაყურებლებს და სტუმრებს სახლური ცეკვის ენაზე მოუთხრობენ საქართველოს ისტორიაზე, კულტურასა და ეთნოგრაფიაზე. ექვი არ არის, რომ ნორჩი მოცეკვავები ამ ფესტივალზეც ისევე დიორსეულად წარდგებიან, როგორც ადრე საბერძნეთში, გერმანიაში, პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივლებზე წარდგნენ და ამაგს დაუფასებენ იური ტორაძეს.

ბით ხელმძღვანელობს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სხივის“ ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი იური ტორაძე, ამასვე უნერგავს იგი თითოეულ მოცეკვავეს დღიდან ანსამბლში მოსვლისა. ხოლო იმაში, თუ რამდენად აქვთ ბატონ იურის მოწაფეებს ეს ჰეშმარითება გათვითცნობიერებული, ადვილად დარწმუნდებით თუ „სხივის“ ერთ გამოსვლას მაინც დაესწრებით.

მერე კი—ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ქალაქ წყალტუბოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მუშაობას მოჰკიდა ხელი. იური ტორაძის მიერ წყალტუბოსა და ქუთაისში მომზადებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები უცვლელი წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. ნორჩ მოცეკვავეთა მიერ შესრულებულ ცეკვებს ყოველთვის გამოარჩევდა ტორაძისეული შემოქმედებითი ხელწერა. ერთხანს ბატონი იური წყალტუბოს ქორეოგრაფიულ სტუდიას ხელმძღვანელობდა და პარალელურად ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელშიც ასწავლიდა. სწორედ ამ პერიოდში მიადწიეს ნორჩმა წყალტუბოელმა მოცეკვავებმა დიდ აღიარებას. ქორეოგრაფიული სტუდიის ბაზაზე ჩამოყალიბებულმა ანსამბლმა დიდი წარმატებით მოიარა უკრაინის, რუსეთის, ბილორუსიის, მოლდავეთის,

წარმატებები და მიღწევები ფრთებს ასხამს და სტიმულს მატებს „სხივის“ ყოველ წევრსაც და ხელმძღვანელსაც, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილებას და ადგილზე ტკეპნას ჩვეულები არ არიან, წინ კიდევ ბევრი სიმაღლე აქვთ დასაპყრობი და ამიტომაც შრომობენ ამდენს, ხვეწენ ყოველ მოძრაობას, ილეთს, მუშაობენ ახალ პროგრამებზე, ამდიდრებენ რეპერტუარს და საკუთარი წვლილი შეაქვთ ქართული-სახლური ცეკვის პროპაგანდაში.

ეს ანსამბლი 1999 წელს შეიქმნა საქართველოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრში ანსამბლ „ცისარტყელას“ ბაზაზე. პირველი დღიდანვე მას სათავეში იური ტორაძე უდგას. ბატონი იური მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, მას 10 და-ძმა ჰყავს და ყველაფერთან ერთად, ბავშვებთან ურთიერთობაში მას ესეც ესმარება.

წყალტუბოელმა ყმაწვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სერგო ზაქარაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, ჯანო ბაგრატიონის კურსი. ბატონი იური სა-



ოფთხსერი

მე კლიარ მიყვარს იისუარ თოვლის...

მოყინა! ეს იმის ნიშანია, რომ მალე თოვლი მოვა და დედამიწას თეთრ საბანს გადააფარებს, სახლის სახურავზე ლოლუებს ჩურჩხელებივით დაჰკიდებს. პატარა ფიფქები კი თოვლში სათამაშოდ გასულ ბავშვებს ხან ხელის გულზე და ხან აწითლებულ ცხვირზე დაასკუბდებიან.

უკვე თოვს.
რა ლამაზია!

მოფარფატებენ და მოცეკვავენ ეს ცელქები. ისინიც ჩვენსავით ონავრები არიან, დედიკოს არ უჭერებენ და მიწისკენ გარბიან... მახსოვს, ერთ თოვლიან დღეს, როდესაც ფანჯარასთან ვიდექი, ჩემ წინ პატარა ფიფქი დასკუბდა. ის მიაშობდა თოვლის დედოფალზე, ღრუბლებზე და თოვლის და-ძმაზე... თხრობა რომ დაამთავრა, ნაზად წაფარფატდა...

მეორეჯერაც მომაკითხა ფიფქმა. ავტობუსის ფანჯარას აეკიდა და მანამ მეტიკტიკა, სანამ არ ავდექი. მხოლოდ მაშინ იკადრა ძირს ჩასვლა და მიწაზე მოსვენება.

მესამეჯერ კი, მართლაც საოცარი რამ შემემთხვა. გზაზე მოვდიოდით. მე გავიქეცი, სხვებს გავასწარი და შუა ხიდზე მოაჯირს დაყრდნობილმა ფანჯრის შუქზე მოფარფატე ფიფქებს დავუწყე ცქერა. უცებ ლამპიონი ჩაქრა და წინ სულ სხვა სამყარო გადამეშალა. არა, შეცვლილი არაფერი იყო, მაგრამ თავად ფიფქებს დასდებოდათ საოცარი ფერი—იისფერი, მოლილისფრო, მოცისფრო... მოკლედ, ძალზედ უცნაური და ლამაზი. ახლად მივხვდი, თუ რა ლამაზი ყოფილა „იისფერ თოვლის ქალწულე-ბივითვ ხიდიდან ფრენა“. სწორედ იმ წუთას შევიგრძენი მეფე-პოეტის სიტყვის ძალა, სწორედ იმ წუთში ახალი სამყარო—პოეზიის სამყარო დამანახა.

ანა ბუკია,
ზუგდიდის ექსპერიმენტულ-პროფილ-
რებული სკოლის X კლასის მოსწავლე

ეს სცნობენი იწერება უაზრდ,
იწერება აბამდყეცნიტრბ,
იწერება მწარე ცრემლომბ!
თცნომბმ, მიწამი ჩათლომბ, უაზრდმ.
ღრეს მბე ანათმს,
მე წვიმე მწადია, მწადია ძაბი, თთული და სეფყა,
ღრეს მე მივიღივარ ლარჯთვალა მბესთან
და ღავიწვიმი თუ აბა, ან ვიცი ...
ღრეს მე ვისვიწვი მწვანე სევითან,
და აღმათ ეს ყველათერი დაბრემა ასე,
ბთგბრე არის.
ღრეს თთბი, მიმღიმაბი
ვარღი გაწითლოღმა,
და მბრე ან ვიცი,
გამავღრმა თუ...

კვლავინდრეობრად ჩემ გვირდით ღგასაბ,
და უბ ამჩრეუ ამ სიბნლოში ვინ საღ ღგას,
მე შენ ან გიცნობ, ან ვიცი, ვინ საბ,
მაგბამ ჩემმა გულმა იცის, ბა და ვინცა საბ.

ანა ძიმიტარიშვილი,
ზუგდიდის №1 გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე



სანდრო საჩიშვილი,
ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმნის
საშუალო სკოლის IV კლასი.

უმურველად გაღებულ სიბიძე

ვიდრე ჩვენ ქალბატონი ნინოს კაბინეტში ვსაუბრობდით, ხუთმა-ექვსმა ბავშვმა მანც შემოაღო კარი, როგორ ხართ, — ეკითხებოდნენ ჩემს თანამოსაუბრეს და როცა მისგან ღიმილიან პაუსს ისმენდნენ, კარგად ვარ, დამწვიდებულები მიდიოდნენ.

— დილიდან ცოტა შემავიანდა სკოლაში მოსვლა, დავიბარე, ექიმთან უნდა შევიარო-მეთქი, ბავშვებსაც გაუგიათ და ახლა იმიტომ მეკითხებიან, სწუნან, ცუდად ხომ არა ვარ, თქვენ მოსვლამდე კიდევ ათმა მანც გეკითხათ, — მიხსნის ქალბატონი ნინო და აშკარად ეტყობა, რომ ძალიან კმაყოფილია მისი აღსაზრდელების მიერ გამოჩენილი ყურადღებითა და სიბოთით. ქალბატონი ნინო ზაქარეიშვილი მეტყველების მძიმე ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლის დირექტორი გახლავთ და თავის მოწოდებად, ადამიანურ მოვალეობად იმ გოგო-ბიჭების დახმარება მიაჩნია, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით მეტყველებაში გაჩენილი დეფექტის გამო

არასრულყოფილების კომპლექსის ჩამოყალიბება და შედეგად საზოგადოებისგან განაპირება ემუქრება. საქართველოში ლოგოპედიური სკოლის სათავეებთან ბატონი გიორგი ახვლედიანთან ერთად იდგნენ და მისი ჩანაფიქრს ასხამდნენ ხორცს ამ საქმის ენთუზიასტები თინათინ ფერაძე, ლამარა ნებიერიძე, ნენო ქეცბაია, ლერა სარალიძე, მზია ფუტყარაძე, ნინო ზაქარეიშვილი. ქალბატონმა ნინომ მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დეფექტოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა ლოგოპედიის სპეციალობით და თბილისში დაბრუნებულმა მეტყველებს დეფექტის მქონე ბავშვებთან დაიწყო მუშაობა. სწორედ მისი მოწოდებითა და ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში პირველ ლოგოპედიურ საბავშვო ბაღს, რომელიც დღესაც მოქმედებს. ქალბატონი ნინო დაბეჭიბებით ურჩევს იმ პატარების მშობლებს, რომლებსაც მეტყველების რაღაც ნაკლი გამოჰყავთ, დროულად მიიყვანონ ისინი მათთვის განკუთვნილ ბაღში, სადაც ლოგოპედი მასწავლებლები ამ ნაკლის გამოსწორებაში დაეხმარებიან მათ. ამის გაკეთება ადრეულ ასაკში უფრო ადვილია. ერთხანს სკოლაში იმუშავა, მერე ბაღში იყო პატარებთან, 1989 წელს კი ამავე სკოლაში დაბრუნდა, ოღონდ უკვე როგორც დირექტორი. საქმის საუკეთესო მცოდნე, კომპეტენტურა და ენერგიულმა ხელმძღვანელმა უმაღლეს თავისი ხელი სკოლას. ქალბატონი ნინოს დამსახურებაა ის, რომ დღეს მეტყველების მძიმე ნაკლის მქონე ბავშვები მშვენიერ შენობაში, სუფთა, ლამაზ და ნათელ საკლასო ოთახებში მეცადინეობენ, რომ მათთან პროფესიონალები მუშაობენ, რომ ისინი ნიადაგ სიბოთით, ყურადღებითა და სიყვარულით არიან გარემოცულნი. შენობის სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში სკოლას არასამთავრობო ორგანიზაცია „ულრუბლო ცა“ დაეხმარა, რისთვისაც მთელი კოლექტივი — დირექტორიც, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც ძალიან ემადლიერებიან მის მესვეურებს. სკოლას არც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ხელმძღვანელობა აკლებს ზრუნვას და ყურადღებას, გაეროს ბავშვთა ფონდიც აქტიურად ეხმარება ამა თუ იმ საკითხის მოგვარებაში.



ამ სკოლაში ბავშვებს ქალაქის განათლების სამმართველოს სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის სათანადო დასკვნის საფუძველზე იღებენ. მოსამზადებელი საფეხურის შემდეგ გოგო-ბიჭები კიდევ თერთმეტ წელს სწავლობენ და ცხრაკლასდამთავრებულთა ატესტატით ამთავრებენ კურსს. ეს ატესტატი სწავლის კოლეჯში გაგრძელების უფლებას იძლევა და ბევრ აქაურ სკოლადამთავრებულს უსარგებლოა კიდევაც ამ უფლებით.

დღეს საქართველოში ერთადერთ მეტყველების მძიმე ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლაში 130 მოსწავლეა, ჩვეულებრივი სასწავლო კლასების გარდა აქ ექვსი განხარკდებული ჯგუფიც არის. სწავლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მი-

ღებული პროგრამით მიმდინარეობს, თუმცა ჩვეულებრივი სკოლებისგან განსხვავებით დამატებით ყოველდღე ტარდება ლოგოპედიური მეცადინეობები. სწავლა აქ უფასოა, უფასოა კვებაც, სკოლის კოხტა და სუფთა სასადილოში ბავშვებს ყოველდღე უმასპინძლებიან სრულფასოვანი და გემრიელი სადილით.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ინვალიდთა ლიგაში, რომლის თავმჯდომარე ბატონი თემურ მიქიაშვილი ძალიან ეხმარება სკოლას. ამ ლიგის ხაზით ნორჩი მძლეოსნები, ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, მოჭადრაკეები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში. სკოლის მოსწავლე-სპორტსმენები უკვე იყვნენ მოსკოვში, კიევში, პეტერბურგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხეთში და ეჭვი არ არის, რომ მომავალში მათი ეს სპორტული გეოგრაფია კიდევ უფრო გაფართოვდება.

ყოველდღიურად მუშაობენ ბავშვებთან ფსიქონევროლოგები, ფსიქოლოგები, სისტემატურად ტარდება სამკურნალო ფიზკულტურის, მუსიკის, შრომის გაკვეთილები. შრომის გაკვეთილებზე გოგონებს ასწავლიან ხელსაქმეს, კულინარიას, გობელენის ქსოვას, ბიჭებს კი ჩარხებზე მუშაობას. ეს შრომითი ჩვევები მათ სკოლის დამთავრების შემდეგ ადგებათ. ბევრი სულაც აქ შექმნილი სპეციალობით ირჩენს თავს.

სკოლის დირექტორის და ყველა პედაგოგ-მასწავლებლის ყველა პედაგოგ-მასწავლებლის, ყველა წევრის შრომა, რუდუნება და ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რათა თანდაყოლილი თუ შექმნილი დეფექტისაგან განკურნონ ბავშვები, დაეხმარონ მათ ამ დეფექტის ნიადაგზე ჩამოყალიბებული არასრულყოფილების კომპლექსისგან გათავისუფლებაში და საზოგადოების სრულყოფილ წევრებად ჩამოყალიბებაში. იმის დასტურად, თუ რამდენად ახერხებენ ამას სკოლის პედაგოგები და ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ზაქარეიშვილი გვიჩვენა მოვიყვანოთ მშობელთა მხოლოდ ორი წერილი:

„ჩემმა შვილმა 1990 წელს ავტოკატასტროფის შედეგად თავის ტრავმა მიიღო, რის გამოც დაუზიანდა მეტყველება. ბავშვი ჩვეულებრივ სკოლაში დაეყავა, მაგრამ იქ მას მასწავლებლების მხრიდან ყურადღება აკლდა. მირჩიეს ბავშვი ლოგოპედიურ სკოლაში გადაეყვანა და ასეც მოვიქციე. დიდად გაცოცხლებული და კმაყოფილი ვარ ამ სკოლაში მომუშავე პედაგოგების ნიჭით, ენერგიით და იმ სიყვარულით, რასაც ისინი ინდივიდუალურად ყოველი ბავშვის მიმართ იჩენენ. ალბათ მე ისეთ მზრუნველობას ვერ გამოვიჩინდი, ეს პედაგოგები რომ არ ყოფილიყვნენ. მათ ხელმეორედ, თავიდან ასწავლეს ჩემს შვილს ლაპარაკი. დიდ მადლობას ვუხდის სკოლის დირექტორს და მთელ პედაგოგულ კოლექტივს ასეთი მზრუნველობისთვის. მარტო ამ სკოლაში კი არა, ჩვეულებრივ სკოლებშიც უნდა იყვნენ ასეთი პედაგოგები, რადგან სკოლა უფრო მეტს აძლევს ვიდრე ოჯახი. კიდევ ერთხელ მადლობთ და მადლობთ!“

გ. სიფრაშვილი

„ჩემმა შვილმა დავით გეგეჭკორმა ეს სკოლა დაამთავრა. დიდად მადლობელი ვარ სკოლის პედაგოგების და დირექტორის, რომელთა ხელშიც აღიზარდა ჩემი შვილი. დღევანდელი პირობების მიუხედავად, თქვენ ყოველთვის მხარში გვედით. ვერ გამოვხატავ მადლიერების გრძნობას, თქვენ მიმართ ისე, როგორც თქვენს ამაგს ეკუთვნის. თქვენი მადლიერი ვიქნებით მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, რადგან შეუფასებელი ამაგი გაქვთ ბავშვებზე.“

არა გვეჩინა, გულის სიღრმეიდან წამოსული ამ მადლიერების სიტყვების შემდეგ კიდევ რაიმეს თქმა იყოს საჭირო.

მ. კარბარაშვილი

ჩვეულებრივია.

მე იქ ბედნიერად ვცხოვრობდი მეუღლესთან, ვაჟიშვილ დამესთან და ქალიშვილ სამესთან ერთად, მაგრამ მოულოდნელად დიდი უბედურება დამატყდა თავს.

ერთ მშვენიერ დღეს შვილებმა მთხოვეს სასერიწოდ წამყვანა. სამივენი საგზაო ტრანსპორტით გავეშურეთ მარჯნის, ზურმუხტისა და მარგალიტის ტყეებით დამშვენებულ სოფელში. ბავშვების სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი მხიარულად ბანაობდნენ ქარვის მდინარეში, მაგრამ უცებ წყალმა წარმოუდგენლად მოიმატა. მარჯნის ზვავი ჩამოწოლილიყო, კალაპოტი გადაეკეტა, ამის შედეგად დაგროვდა ქარვის დიდი მასა, რომელმაც გაარღვია წინაღობა და მდინარე ერთბაშად დაიძრა, მოვარდნილმა ქარვის წყალმა ბავშვები გაიტაცა. ორივე შვილი სასოწარკვეთილი მიხმობდა საშველად. მე ანგარიშიუცემლად ჩავხტი მდინარეში. დრო არ ითმენდა, კინალამ გადავირიე, არ ვიცოდი რა მექნა, ორივეს ერთდროულად ხომ ვერ გადავარჩენდი.

ჯერ სამესკენ გავემართე, არაქათგამოცლილს ხელი ვტაცე. მესმოდა დამეს განწირული ვიწროილი დედა, მიშველეო! გამოვიყვანე სამე და სირბილით გავყევი მდინარის პირს დამეს გადასარჩენად. შორიდან ვხედავდი მის შეშლილ სახეს და მავედრებელ თვალებს, რომლებიც საშველად მიხმობდნენ. ღმერთო, რა დამავიწყებს ამ თვალებს! სირბილში ქვას ფეხი წამოვკარი და დავეცი, გონება დავკარგე... დავკარგე შვილიც, ჩემი ბიჭუნა, ჩემი დამე... მას შემდეგ დამეს თვალები ყველგან თან მდევნ

და მიხმობენ. მეუღლე და ქალიშვილი ყურადღებას და სიყვარულს არ მაკლებდნენ, მაგრამ მე დამე მენატრებოდა, ჩემი ცხოვრების მიზანი დამესთან ყოფნა გახდა.

დედამიწელებმაც კარგად იცით, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება, ვიცოდი, დამეს სული სხვა სამყაროში რომ გადასახლდა და მისი მოძებნა დავისახე მიზნად.

დედაჩემის ძმა აინი მეცნიერია, ის დამემმარა, თავისი მეცნიერული მეთოდებით გამოთვალა და დაადგინა, რომ დამეს სული დედამიწაზე იყო. ვთხოვე ძია აინის, როგორმე დედამიწაზე მოხვედრაში დამხმარებოდა.

—აინ, მე თუ დღეს მოვკვდები, შეიძლება, რომ ჩემი სული დედამიწაზე გადასახლდეს?—ვკითხე ერთხელ.

—ამის ძალიან მცირე ალბათობა არსებობს გალაქტიკაში ბევრი პლანეტაა, ამიტომ ეს გზა არ გამოვადგება. მაგრამ მე შენ ერთ საიდუმლოს გაგანდობ. ჩვენ, მეცნიერები, კარგა ხანია ვმუშაობთ ამ საკითხზე, დედამიწაზე მოხვედრის გზების ძიებაში ჩვენს ლაბორატორიაში შექმნილი საფრენი აპარატის არა ერთი მოდელი გამოვცადეთ და მგონი, ახლა უკვე ახლოს ვართ მიზანთან, ბოლო მოდელმა იმედი გავგიმართლა და ალბათ სულ მალე დედამიწაზე გაფრენა შესაძლებელი გახდება. მხოლოდ ეს არის, რომ ამ აპარატით სარგებლობა გაუთვალისწინებელ რისკთან არის დაკავშირებული.

—ძია აინ! მე ძალიან მიყვარს ჩემი ქმარიც, ჩემი ქალიშვილიც, მაგრამ თუ დამეს ვერ ვნახავ, ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ

ექნება.

—დედა, დამესთან რომ წახვალ, აღარ დაბრუნდები, ხომ!—ატირდა სამე და მომეხვია.

—შვილო, ეგ როგორ იფიქრე, მე აუცილებლად დავბრუნდები! დამეს სიყვარული დედამიწაზე წამიყვანს, ხოლო შენი სიყვარული აქ დამაბრუნებს!—თვალცრემლიანი ვიკრავდი გულში ჩემს გოგონას.

—აპარატზე დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც შენ შეგიძლია დედამიწაზე შენი შვილი მოძებნო. ის უზრუნველყოფს იქ მცხოვრებ არსებებთან საუბრის შესაძლებლობებს. კომპიუტერზე დამონტაჟებულ დეტექტორს ძალუძს შეისწავლოს ურთიერთობები და გრძნობები დედამიწაზე. ათი დღის შემდეგ კი მე სხივით გაუფიქრავნი აპარატს უკან დაბრუნების დავალებას და დილის მზის ამოსვლისთანავე აპარატი ჩვენი პლანეტისაკენ გამოფრინდება, ოღონდ იცოდე, თუ ამ დროისთვის შენ იქ არ იქნები, სამუდამოდ დარჩები დედამიწაზე!—გამაფრთხილა აინმა.

—რა საინტერესოა! ასეთი ამბავი ფანტასტიკურ წიგნებში წამიკითხავს და კინოებში მინახავს, ნუთუ ეს მართალია!—წამოიძახა გეგამ—მერე, მერე რა მოხდა? იპოვეთ შვილი?!

—დიახ, მე ვიპოვე ჩემი შვილი...—ქალი გაჩუმდა. მერე თავი ასწია და ჩუმად თქვა:

—გეგა! შენ ჩემი დამე ხარ! ათი დღეა შენი ცქერით ვტკბები და შენი სიყვარულით ვერ გავმძლავრვარ!

გეგა გაგონილით გაოგნებული იყო, არ იცოდა რა ექნა. სათქმელი ვერ

ებოვა და უხმოდ, მესცემოდა როდა ქალს.

და ანაზდად ამოტივტივდა მოგონებები დამეს ცხოვრებიდან. გაახსენდა დედა, მამა, სამე. წიგნის ფურცლებივით იშლებოდა გეგას მენსიერებაში სახლ-კარი, ცხოვრების ეპიზოდები, ადიდებული მდინარეც წარმოუდგა თვალწინ.

—დედა, დედიკო! წამიყვანე, თქვენთან მინდა, ჩემს სახლში!—შესძახა ბიჭმა.

ქალი უეცრად გამოერკვა, ცრემლიანი თვალები დახუჭა, გეგას კი უმალ მოშორდა ზმანებები და იგი რეალურ სამყაროს დაუბრუნდა.

—შვილო, სწორედ შენ წასაყვანად ჩამოვფრინდი აქ, მაგრამ როგორც გავიგე, დედამიწაზე ისევე უყვართ მშობლებს და შვილებს ერთმანეთი, როგორც იქ, ჩვენთან. მე დილით უნდა დავბრუნდე ღოტონზე. დამშვიდებული ვბრუნდები, დავრწმუნდი, რომ შენ აქ დიდი სიყვარულით ხარ გარემოცული, ბედნიერი ხარ დედამიწაზე და არ მინდა ეს ბედნიერება წაგართვა. ვინ იცის, იქნებ სხვა პლანეტაზე მოგვიწიოს ერთად ცხოვრებამ?! ამიერიდან შენი თვალები აღარ შემაწუხებენ. აბა, მშვიდობით იყავი, ჩემო ბიჭო! გიყვარდეს შენი დედა და არც მე დამივიწყო, გამიხსენე ხოლმე,—თქვა ქალმა და ეკრანზე ისევ ნისლი გამოჩნდა, მერე ნისლი ნელ-ნელა გაქრა და კომპიუტერი გამოირთო.

გეგამ ფანჯარაში გაიხედა—ალიონს მისი ფანჯრისათვის მზის პირველი სხივი გამოეგზავნა და დედამიწაც უღიმოდა ბიჭს.



მსოფლიო კიდით კიდევდა

აზუ

ბრიტნი სპირსის და
ვარსკვლავობაზე
ოცნებობს



ბრიტნი სპირსის უმცროსი და 11 წლის ჯემი ლინიც ვარსკვლავობაზე ფიქრობს. იგი საკუთარი საბავშვო შოუს შექმნას აპირებს. ჯემიმ უკვე მოასწრო ამ სფეროში გარკვეული გამოცდილების შექმნა. მან ფილმში „გზაჯვარედინები“ პატარა ბრიტნი განსახიერა, უფროს დასთან ერთად მან „ბექსის“ რეკლამაშიც მიიღო მონაწილეობა, გარდა ამისა, ჯემი ყველა დაჯილდოვების ცერემონიალზეც თან ახლავს ხოლმე მას.

ჩინეთი

შვილი წლის ჩინელმა ბოზონამ სასამართლოში უჩივლა ბეკინის თეატრის ადმინისტრაციას, რომელმაც დაბალი ტანის გამო გოგონა თეატრში არ შეუშვა. ხელოვნების ნორჩმა მოყვარულმა ხალხური სიმღერებისა და ცეკვების კონცერტზე დასწრება მოინდომა, მაგრამ იგი დარბაზში არ შეუშვეს და მიუთითეს ბილეთზე, რომელიცაც ეწერა: „1,2 მეტრზე დაბალი ბავშვების შესვლა აკრძალულია“. გაგულიანებულმა გოგონამ მის შეურაცხყოფელ თეატრს რამდენიმე მოთხოვნა წაუყენა: ბოდიში მოუხადოს ადმინისტრაციამ, მისცენ ისეთივე სპექტაკლზე დასასწრები ბილეთი, რომელიც მან მათი მიზეზით გააცდინა და გადაუხადონ 1000 იუანი (120 დოლარი) ბავშვის ფსიქიკისთვის მიყენებული ზარალისთვის. თეატრის ხელმძღვანელობამ თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ პატარა ბავშვები არ უნდა იკავებდნენ მთელ ადგილს თუნდაც იმიტომ, რომ უფროსების ზურგს უკან მაინც ვერაფერს ხედავენ. სასამართლომ, რომელიც, ცხადია, სულ უფროსებისგან შედგებოდა, თეატრის ხელმძღვანელობის სასარგებლო განაჩენი გამოიტანა.

მელიც, ცხადია, სულ უფროსებისგან შედგებოდა, თეატრის ხელმძღვანელობის სასარგებლო განაჩენი გამოიტანა.

დიდი ბრიტანეთი

ბავშვი რომ არავინ მოიტაცოს
11 წლის დანიელა დიუვალს ექიმებმა კანკვეშ სპეციალური სასიგნალო მიკროჩიპი ჩაუნერგეს. დაახლოებით ერთი სანტიმეტრის სიგრძის ციციქნა ცილინდრი ასხივებს რადიოტალღებს იმ დიაპაზონში, რომელშიც მობილური სატელეფონო კავშირის ქსელები მუშაობს და საშუალებას იძლევა ნებისმიერ მომენტში განისაზღვროს, თუ სად იმყოფება ადამიანი. დანიელას მშობლებმა მას შემდეგ მიიღეს ასეთი უჩვეულო გადაწყვეტილება, რაც ინგლისში ორი 11 წლის გოგონა—ჰოლი უელზი და ჯესიკა ჩაპმენი გაიტაცეს და მოკლეს. რეპლანტაციას დაახლოებით 20 გირვანქა სტერლინგი დაჯდა. დიუვალების მსგავსად კიდევ ექვსი ოჯახი აპირებს შვილების ამგვარი მოწყობილობით აღჭურვას.

მალაიზია

მორვენაბა სკოლის ბიბლიოთეკაში
მალაიზიის ერთ-ერთ სკოლაში უთავო მოჩვენება გამოჩნდა. მოსწავლეებმა იგი ჯერ ბიბლიოთეკაში დაინახეს, მერე სასადილოში და საპირფარეოში. შეშინებულმა მშობლებმა სასწრაფოდ წაიყვანეს შვილები სკოლიდან და რამდენიმე დღე სახლიდან ფეხი არ გამოადგმევინეს. სასწავლო დაწესებულებაში იმკვეციური სტუმრის გამოჩენა ქვეყანაში მიმდინარე „მშიერ მოჩვენებათა“ ერთთვიურ დაემთხვა. მალაიზიელებს სწამთ, რომ მიუსაფარი სულები ამ დროს ადამიანთა ცხოვრებაში იჭრებიან და შიშის ზარს სცემენ. სულების უკან, „აჩრდილთა სამყაროში“ დაბრუნება მხოლოდ გარკვეული რიტუალების დახმარებით შეიძლება. მართალია, ადგილობრივი განათლების წარმომადგენლებმა სცადეს შეშფოთებული მშობლების დაწყნარება, მაგრამ სკოლაში კარგახანს არც ერთი მოსწავლე არ მისულა.

ტესტი გოგონებისთვის



ჩოკოლეტი უკეთესია თუ ბაჭყალი ბიჭებთან?

თავისუფლად და მუნი-
მბივად გბმნდმ თავს მათ
საბთგადტუმაში თუ იბა-
მუმი, სიფყასაც ვერ მბავ?
ან ის თუ იცი, სხუმი ბას
თიქბმბონ მუნბ? უპასუხე
ფუსცის კითხუქმს და მუ-
იბლუმა ისეთი ბამ შიიფცდ
მუნ მუსასქმ, ბაც აქამდე
აბ იფდი.

1. ქუჩაში სიმაკათი-
ურმა ბიჭმა გაბილია.
როგორ მოიქცევი?

- ა) მეც გავფლიმებ;
 - ბ) თვალებს დავხრი და გაწითლდები;
 - გ) ჩემს განწყობილებას გააჩნია;
2. საღ ისუბვებლი ღასკენებას?
- ა) პრესტიჟულ ევრობულ კურორტზე;
 - ბ) ინდოეთში ან ჩინეთში მოგზაურობას ამკობინებდი;
 - გ) გუდაურში ან ბაკურიანში;
3. ვითვამთ კოსტიუმიერაბულ მუჯლისზე მოხვლი, რომელ კოსტიუმს აირჩევდი?
- ა) ბოზა ქალისას;
 - ბ) კლოუნისას;
 - გ) უცხოლანეტელისას;
4. გსიამოვნებას, როცა უცხო ბიჭები ყურადღებას
ბაქცევენ?
- ა) დიან, ძალიან;
 - ბ) გააჩნია, ვინ მაქცევს ყურადღებას;
 - გ) არა, არ მიყვარს როცა თავს მბებზრებენ.
5. ლამაზად ჩაცმა თუ ვიყვარს?
- ა) ძალიან;
 - ბ) მომწონს, როცა ადამიანს ლამაზად აცვია;
 - გ) ჩაცმა-დახურვისადმი გულგრილი ვარ;
6. ვითვამთ, უცხო ბიჭმა კაფეში ფინჯან ყავაზე და-
ბპატიშა, ბაკყვებში?
- ა) საკმაოდ მქონია ასეთი შემთხვევები და უარი არა-
სდროს მითქვამს;
 - ბ) ვფიქრობ, გავყვები;
 - გ) არასდროს;
7. ბიჭებისთვის თუ გიკოცნიებია?
- ა) კი, თუ მომწონებია;
 - ბ) თუ სურვილი მქონია, მიკოცნიებია;
 - გ) არა, არასდროს;
8. საკუთარი ბარებობა თუ მოგწონს?
- ა) საბოლოო ჯამში შეუხედავი არ მეტქმის;
 - ბ) ხან მომწონს და ხან არა, გააჩნია ჩემს განწყობილე-
ბას და წელიწადის დროს;
 - გ) რომ შეიძლებოდეს, სულ შევიცვლილი გარეგნობას;
 - 9) დილაობით რამდენ დროს უთმობ სოლემ შენს

ბარებობას?

- ა) დაახლოებით ერთ საათს;
 - ბ) ნახევარ საათს;
 - გ) 5 წუთს;
10. როგორ გბონია, შვიპილია ერთი ნახვით შვი-
იყვარო ვინამ?
- ა) სულ ასე არ მემართება?!
 - ბ) შემიძლია, მაგრამ ძალიან იშვიათად.
 - გ) არა, მე ჯერ კარგად უნდა გავიცნო ადამიანი;
11. ყველაზე ნაპლეზად რა ბაინტმარესებ ბიჭებში?
- ა) გარეგნობა;
 - ბ) ხასიათი;
 - გ) ზუსტად ვერ ვიტყვი;
12. სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?
- ა) ჩოგბურთი;
 - ბ) ფრენბურთი;
 - გ) ცურვა;
13. ბოლოს როდის ბაჩუმეს ყვავილები?
- ა) რამდენიმე დღის წინ;
 - ბ) ნახევარი წლის წინ;
 - გ) არ მახსოვს;
14. საღ ამკობინებ ბიჭთან ერთად წასვლას?
- ა) დისკოთეკაზე;
 - ბ) კინოში;
 - გ) კაფეში;

დაჯამე ქულაში:

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
პასუხი ა	5	6	6	6	5	6	6	6	5	5	5	5	5	6
ბ	1	4	4	4	3	3	4	4	3	3	3	3	3	4
გ	3	2	2	2	1	2	2	2	1	1	1	1	1	2

66 ქულა და მეტი: ყოველთვის გყავს თავყანისმცე-
მლები, შენი წარმატება ბევრს შურს. საკუთარ თავში
დარწმუნებული, მომხიბვლელი და ხალისიანი ხარ. მა-
გრამ შეიძლება ქარაფშუტა და ზედაპირული „გულთ-
მბყრობელის“ შთაბეჭდილება დატოვო. იშვიათად,
რომ ისეთმა ბიჭმა მოგაქციოს ყურადღება, რომელიც
სერიოზულ ურთიერთობას ეძებს.

37-65 ქულა: ურთიერთობაში გულწრფელი ხარ და
სხვებისგანაც იგივეს ელი. ბევრს მოსწონს შენი გუ-
ლლიაობა და ქცევის უბრალო მანერა. უმაღ ნათელი
ხდება, რომ მსუბუქი არმიყისთვის არ ხარ შექმნილი.
იოლი თავგადასავლების მაძიებლებს შენისთანა ქალი-
შვილები არ აინტერესებს.

36 ქულა და ნაკლები: ბევრს მიაჩნია, რომ უყარება
და ცივი ხარ და რომ უმჯობესია არც მოგიახლოვდნენ.
ხშირად გულჩათსრობილი და მორიდებული ხარ.
სცადე გაიღიმო და ცოტა იკეკლუცე, ბიჭთან შეხვედრა
ხომ გამოცდა კი არა, სასიამოვნო დროსტაოებია.

კითხვა-თქვანი

მე ძალიან მიყვარს ცირკი, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ორჯერ მოვხვდი თბილისის ცირკში, ტელევიზორში კი საცირკო წარმოდგენებს იშვიათად აჩვენებენ. მაინტერესებს, როდის და სად იყო მსოფლიოში პირველი ცირკი, მინდა ვიცოდე რაიმე ცირკის ქართველი ოსტატების შესახებ.

ზენაბ სტურუა, 13 წლის. ქ. სამტრედია.



გაუმადრეხის ცირკს!

ცირკი ჯადოსნური, ფანტასტიკური სამყაროა, სადაც ილუზიონისტები საოცარ ფოკუსებს აჩვენებენ, აკრობატები ჰაერში დაფრინავენ, დათვები ველოსიპედზე დადიან, ცხენები ცეკვავენ, ძაღლები არითმეტიკულ მაგალითებს ხსნიან, სპილოები ცალ ფეხზე დგებიან, ჟონგლიორები უამრავ საგანს ათამაშებენ, მუშაითები ჰაერში გაბმულ თოვზე ცეკვავენ, დაშენების მულაპავეები ბასრ დაშენებს ყლაპავენ, ფაკირები ლურსმნებზე წვებიან, კლოუნები ხასაცილო ტრიუკებით ამხიარულდებიან ხალხს... სიტყვა ცირკი (circus) ლათინურია და წრეს ნიშნავს. როგორც ჩანს, ეს სახელი ხელოვნების ამ სახეობას იმიტომ ეწოდა, რომ მას ძველთაგანვე მრგვალი მოედანზე, არენაზე წარმოდგენდნენ. საცირკო მოედანი დღესაც მრგვალი არენაა, რომლის დიამეტრი 11-დან 13 მეტრამდეა. სხვადასხვა საცირკო გართობა-სანახაობა თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა, საქართველოში ეს იყო ბერიკაობა, ყეენობა, ყაბანი, ჯირითი, ისინდი და სხვა. თანამედროვე გაგებით კი საცირკო ხელოვნება XVII საუკუნეში ჩაისახა. ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ პირველი ცირკი 1768 წელს ლონდონში შექმნა ფილიპ ასტლეიმ, კავალერიის კაპრალმა, რომელიც საუკეთესო მოჭირითე ყოფილა



თქმის 150 წელი ბატონობდნენ ცხენოსნები ცირკში და არენაზე და თუმცა მათ დღემდე არ დაუკარგავთ საბატიო ადგილი საცირკო წარმოდგენებში, XIX საუკუნის შუა ხანებში ცირკში კიდევ ერთი ჟანრი დამკვიდრდა. ჟიულ ლეოტარის საჰაერო „ფრენამ“ და შარლ ბლონდენის თავბრუდამხვევმა გაბედულებამ (ამ უკანასკნელმა ნიაგარის ჩანჩქერის თავზე გაბმულ ბაგირზე გაიარა, ინდივიდუალურ შემსრულებლებს გაუკაფეა გზა

ასტლეი გაჭენებული ცხენის გავაზე ყირას ჭიმავედა და აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი, მერე და მერე მან გაამრავალფეროვნა თავისი წარმოდგენა, სხვადასხვა ნომრით შეავსო იგი და ცირკი შექმნა. გაჩნდნენ სხვა ცხენოსანი მხედრებიც, ვოლტიჟორების ოსტატები: ენდრიუ დაკროუ, ვილიამ ბელი, უილკს ლოიდი, ალოფ უელიზი, გუბერტ კუკეი, ჯონ ფრედერიკ კლარკი, რიშარი და სხვები. თი-

არენისაკენ. საჰაერო აკრობატებს და მუშაითებს ჟონგლიორები მოჰყვნიან. ყველა ამ ჟანრში ბრწყინვალე მსახიობები გამოჩნდნენ: მფრინავ ტრაპეციაზე მოვარჯიშე კოდონთა ოჯახი, მავთულზე მოსიარულე კონ კოლანო, ჟონგლიორი ენრიკო რასტელი...

საუკუნის მიწურულს კი საცირკო წარმოდგენებში მოთვინიერებული მხეცებით ჩაერთვნენ, ცხოველების მონაწილეობით დადგმულ ნომრებს ცირკი პირველ რიგში ჰამბურგელ კარლ ჰაგენბეკს უნდა უმაღლოდეს. მასვე მიაწერენ მოთვინიერება-გაწვრთნის სისტემის შექმნას, რომელიც ცხოველებისადმი კეთილ დამოკიდებულებას ეფუძნება. საფრანგეთში ფრანკონის ცირკში ვეფხვებითა და ლომებით გამოდიოდა ა. მარტენი. ამერიკაში მოღვაწე ვამბურგის ნომერში სამი ლომი, სამი ვეფხვი და სამი ჯიქი გამოდიოდა. ცხოველთა მომთვინიერებლები რუსეთშიც გამოჩნდნენ-ფილატოვი, ვერეტინი, ჟერებილოვი. იმავდროულად დაიწყო პანტომიმის განვითარებაც. პანტომიმებს ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მიმოღრამებს ძირითადად საბრძოლო სიუჟეტებზე დგამდნენ. მე-19 საუკუნეშივე გამოჩნდნენ არენაზე მსტომელი აკრობატები (ძირითადად არაბები), ტანმოვარჯიშეები, თოქსვლელები, ათლეტები, ეკვილიბრისტები, თუმცა პროგრამის ძირითადი ნაწილი კვლავაც ცხენების ცირკის ნომრებისგან შედგებოდა. გაჩნდნენ სახსარქმედი მსახიობებიც. გამოვიდოდა არენაზე ასეთი სახსარქმედი, დაჯდებოდა ან სულაც ფეხზე იდგა და ხან მკლავს ამოიგდებდა, ხან კი ისე გადაიხლართებოდა, გომბეშოს ემსგავსებოდა და მასავით სტოლდა. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ნომრები აღტაცებასთან ერთად შიშსაც ჰგვრიდა მაყურებელს. ცირკში ძაღოსნები და მოჭიდავეებიც

გაგრძელება მე-18 გვ.

გამოჩნდნენ, ველოსიპედების სრულყოფამ, ველოსპორტის განვითარებამ არენაზე ველოფიგურისტებსაც გაუკვალა გზა.

დიდად განვითარდა კლოუნადაც. მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი კლოუნებმა ჯონ პრაისმა, გრაკმა, მედრანომ, ჯეო ფუტოტმა, პატარა უოლტერმა, ანტონიო პილარ-ჟაკმა, უმბერტო გილიომემ, არისტოლდემო ფრედინანომ, ძმებმა არაგონებმა, ალბერ, ფრანსუა და პოლ ფრატელინებმა, პორტო, ჟან და კარლეტო კაიროლებმა, აქილ ზავატამ, ჟ. ორიოლიმ, ლ. ვიოლიმ და სხვებმა. კლოუნები, გარდა იმისა, რომ პაროდულიად იმეორებდნენ პროგრამის მონაწილეთა ნომრებს, თვითონაც ძალზე საინტერესო ნომრებით გამოდიოდნენ: მათ კომიკურ სცენებში მუდამ იყო ჩართული აკრობატული ილეთები, ფოკუსები, ცხენით ჯირითი, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა და ა.შ. გაჩნდა ცირკის მსახიობთა საოჯახო დინასტიები, დაფუძნდა საცირკო ხელოვნების სკოლები, გახშირდა საცირკო ნომრებში ბავშვების მონაწილეობა, ეს განსაკუთრებით აკრობატთა შორის დამკვიდრდა. უნდა ითქვას, რომ აკრობატიკა საცირკო ხელოვნების ჩასახვისთანავე



ლირსეულ მეტოქეობას უწევდა მოჭირითე ვოლტიჟოერთა ნომრებს. აკრობატიკა ჩართული და ძნელად ასათვისებელი ხელოვნებაა, მის დაუფლებას წლები სჭირდება. ვიდრე

ერთ რომელიმე სახეობას აირჩევდეს, აკრობატი სრულყოფილად უნდა დაეუფლოს სტომებსა და ეკვილიბრისტიკას. დიდი და ხანგრძლივი შრომა სჭირდება აკრობატს იმისთვის, რათა მერე არენაზე ათწუთიანი ყირა გაჭიმოს ან ადგილზე დგომიდან სალტო შეასრულოს. სამაგიეროდ, როცა ამ ხერხებს დაეუფლები, შეუძლია აკრობატიკის რამდენიმე, ის კი არა ყველა სახეობაში სცადოს ძალები. სწორედ შესაძლებლობათა ამგვარი მრავალფეროვნებით იხსნება ახალ-ახალი ტრიუკების დანერგვა.

დღეს საცირკო წარმოდგენები ძირითადად სპეციალურად სამისოდ აგებულ შენობებში იმართება. მსოფლიოში არსებობს ცირკის პატარა შენობებიც 500-600 მაყურებლისთვის და დიდებიც—3000 და მეტი მაყურებლისთვის (თბილისის ცირკის დარბაზში ორი ათასამდე დასაჯდომი და ათასამდე დასადგომი ადგილია), მანუჟის დიამეტრი კი ნებისმიერ დარბაზში სტანდარტული რჩება და იგი ცამეტნახევარ მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. არსებობდა ერთგვარი ცირკი-თეატრებიც, სადაც მანუჟთან ერთად სცენაც იყო. არსებობს წყლის ცირკი—აქ წარმოდგენა წყლის ზედაპირზე იმართება. ყინულის ცირკში წარმოდგენა ყინულის არენაზე მიმდინარეობს, ნომრებს კი მსახიობები ციგურებზე შემდგარნი ასრულებენ. არის შემთხვევები, როცა საცირკო წარმოდგენები სტადიონზე იმართება; ისეთი ცირკის შენობებიც არსებობს, სადაც ერთი კი არა, რამდენიმე მანუჟია. მანუჟის, ანუ საწარმო მოედნის წრიული ფორმა საცხენოსნო მუშაობის მოთხოვნებმა განაპირობა. ყველა სხვა ჟანრის ნომრების შესრულება ნებისმიერი ფორმის მოედანზე შე-


იძლება, ცხენოსან მუშაითა რეპერტუარი კი აუცილებლად წრიულ მოყვანილობას მოითხოვს, რადგანაც მხოლოდ წრესა და წრიულ ბრუნვას ძალუძს უზრუნველყოფს ცხენის ისეთი სვლა, რომელშიც მოჭირითე მუშაობები ისე უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, როგორც ქრონომეტრის უზუსტეს მუშაობაში. მრგვალი მანუჟია შაპიტოშიც. შაპიტო ბრუნვის ან სხვა მასალის ასაწყობი ტიპის ცირკის ნაგებობაა, რომელიც ერთგვარად კარავს წაავას.

ქართული საცირკო ხელოვნების ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. როგორც უკვე ვთქვი, საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა თავისებური საცირკო გართობა-სანაწაობები, სპორტული თამაშები. ქართველმა ცხენოსნებმა იმდენად შორს გაითქვეს სახელი, რომ მათ ძველ რომშიც კი იწვევდნენ ხოლმე სხვადასხვა დღესასწაულზე ოსტატობის საჩვენებლად. მუდმივი ერთიანი ქართული საცირკო დასი 1957 წელს შეიქმნა, პრემიერა კი 1958 წლის 19 თებერვალს შედგა თბილისის სახელმწიფო ცირკში. მანამდე ქართველი საცირკო ხელოვნების ოსტატები რუსეთის ცირკებში გამოდიოდნენ. მათ შორის იყო ეკვილიბრისტი ვანო გოლიაძე, რომელიც საწყის ეტაპზე ტრაპეციაზე და ღერძზე მუშაობდა, საკლოუნო ბუფონადაში მონაწილეობდა, 1900 წელს კი მან რუსეთში პირველმა დაიწყო მავთულზე ველოსიპედით სიარული. გოლიაძე მავთულზე ორიფენებითაც კი დადიოდა და რთულ და სასიფათო ილეთებს ასრულებდა. ერთხანს ვანოსთან ერთად მისი ძმა იოსებიც მუშაობდა. მოგვიანებით ვანო გოლიაძე ცოლ-შვილთან ერთად გამოდიოდა მანუჟზე. გოლიაძეებმა ტრიუმფით მოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცირკები. ვანო გოლიაძემ სიცოცხლის სამოცი წელი მანუჟზე გაატარა და მხოლოდ 1953 წელს დაემშვიდობა ცირკს, თუმცა მისმა შთამომავლობამ კვლავ გააგრძელა ოჯახის ტრადიცია.

დიდი წარმატებით გამოდიოდა მანუჟზე კლოუნ-მომთვინიერებელი ალექსი ცხომელიძე. საცირკო ხელოვნებით გატაცებული ჭაბუკი ალექსი ჯერ ხარინის ცირკში მუშაობდა, ცხენოსნად, მოვარჯიშედ, ჟონგლიორად, კლოუნად, მერე ჩინიზელისთან მოხვდა, მოგვიანებით ძმები ნიკიტინების ცირკში აიყვანეს. ცხომელიძის ორიგინალური ოსტატობა და მისი გაწვრთნილი ძაღლების ილეთები ყველგან უცვლელი წარმატებით სარგებლობდა.

საცირკო ხელოვნების დიდი მცოდნე და ცირკების მშენებლობის ორგანიზატორი გახლდათ რომან გამსახურდია. მართალია, იგი მსახიობი არ ყოფილა და არც მანუჟზე გამოსულა როდესმე, სამაგიეროდ, მან თავისი ქალიშვილები აზიარა საცირკო ხელოვნებას. კლარა და ვალენტინა გამსახურდიები სწორუპოვარი ცხენოსნები დადგნენ.

დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საცირკო ხელოვნების განვითარებაში სხვადასხვა ჟანრში მომუშავე ნიკო მაყაშვილმა, გიორგი მესტიაშვილმა, ანტონ ადღგომელაშვილმა და მისმა ვაჟმა გიორგიმ, ნიკო მაცაბერიძემ, აპოლონ სტაროშვილმა, ალექსანდრე დადეშქელიანმა, შალვა ხავთასმა, გიორგი მაჭავარიანმა, ლალაშვილებმა, ალექსანდრე თედიაშვილმა, გიორგი ნიკოლოზიშვილმა, ნათელა მელქაძემ და სხვებმა.



პასუხი-ჩვენი

გუდიდან აფრენამდე

გუდიდან აფრენამდე

მადლობთ, სიალ მასწავლებლო!

პირველი სფუნსური უკვე გაპიარათ

ვინ მოთვლის, მადლაკელი გოგო-ბიჭების რამდენი თაობა დაუფრთიანებია ქალბატონ ციალა

ამ გოგო-ბიჭებმა პირველად შარშან გადააბიჯეს 55-ე საშუალო სკოლის ზღურბლს და მორიდებით, კრძალვით შეადეს ცოდნის სამყაროს კარი. მათი მეგზურობა კი ამ სამყაროში ნათია მასწავლებელს, ნათია ფასურიშვილს ერგო, რომელიც მართო ანბანს და მიმატება-გამოკლებას კი არა ასწავლის მათ, არამედ სამშობლოს, საკუთარი ისტორიის, ენის, ხალხის პატივისმცემელ, სიყვარულით, სიკეთით, ეროვნული სულისკვთებით დამუხტულ პიროვნებებად ზრდის მათ.



ჟორჟოლიანს, რამდენისთვის გაუღვივებია სწავლის წყურვილი, რამდენისთვის ჩაუნერგავს მამულის, მშობლიური ენის, მოყვასის სიყვარული, რამდენისთვის გაუტანებია ცხოვრების დიდ გზაზე საგზლად ცოდნა, სიკეთე, შრომის სიყვარული. პატარებიც სიყვარულით პასუხობენ ძვირფას მასწავლებელს, ცდილობენ არ გააწბილონ, ბეჯითობენ, იმდიდრებენ ცოდნას, იფართოვებენ თვალსაწიერს. ამ სურათზე აღბეჭდილი თვალმანარა გოგო-ბიჭებიც ციალა მასწავლებლის აღსაზრდელები, წყალტუბოს რაიონის სოფელ მადლაკის № 1 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელები არიან. მათ წარმატებით გაიარეს სკოლის პირველი ოთხწლიანი საფუნსური და ახლა სწავლის პირველ წლებში ჩაყრილ საძირკველზე ამოჰყავთ ცოდნის მტკიცე კედლები. ციალა მასწავლებლის მოსწავლეებს ხელოვნებაც იტაცებთ, ნორჩ მუსიკოსებსა და მოცეკვავეებს არა ერთხელ უსახელებიათ მშობლიური სკოლა. ისინი სხვადასხვანაირები არიან—ზოგი მეტისმეტად ცელქია, სხვები უფრო წყნარები არიან, გულჩათხრობილებიც ურევიათ, მაგრამ ხალისიანები და მხიარულები ჭარბობენ, უზრდელი ან უკმეხი კი არცერთი არა ჰყავთ, ყველანი თავზიანები და ზრდილები არიან.

სულ სხვადასხვანაირები არიან გიორგი, მარიამი, ლაშა, თეა, ნინო, ნიკა, ლევანი, ქეთინო, დათო, ეკა, სხვა გოგო-ბიჭები. ზოგი ცელქი და მოუსვენარია, ზოგი—თავდაჭერილი და მორცხვი, ერთნი ცოტათი ზარმაცობენ, სხვები ბეჯითობენ ხალისით სწავლობენ. ნათია მასწავლებელი კი მათში უპირველეს ყოვლისა საქართველოს მომავალს ხედავს და ამიტომაც ცდილობს ახლავე ჩაუყაროს საფუძველი მათ განათლებულ, ზნესრულ, მშრომელ, კეთილ და შემწყნარებელ ადამიანებად ჩამოყალიბებას. დღეს ისინი უკვე მეორე კლასში არიან და ძველებურადვე თვალეში შესციცინებენ თავიანთ პირველ მასწავლებელს, ძალიან-ძალიან უყვართ იგი, სჯერათ მისი და პატივს სცემენ მას.



შენთვის და შენი მოზღვაობისთვის

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნე კომპიუტერების ერის სახელით შევა ისტორიაში. ადამიანის გონების ამ საოცარმა გამოგონებამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და ცხადია, დიდად შეუწყობ ხელი საყოველთაო პროგრესს, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა

სხვა გარემოების გამო გოგო-ბიჭების დიდი ნაწილი მოკლებულია ეზოში თამაშის, სპორტულ სექციებში სიარულის, მათი ასაკის შესაფერის სანახაობებზე დასწრების შესაძლებლობას, როდესაც მშობლებს ასე გაუძლიერდათ ქუჩის მავნე ზეგავლენის შიში,

სცენების შემცველი. გარდა ამისა, ისინი სპეციალურ იზოლირებულ დაბრუნებულ შეიყვანეს და 100 ასეთივე ფოტოსურათი დაათვლიერებინეს. ბავშვების რეაქციის აუღელვებელი „მოწმეები“—თითოეული მათგანის საჩვენებელი, ანუ „კომპიუტერულ თაგვთან“ შეხებაში მყოფ თითზე მიმაგრებული

სებასაც იწვევს, ხოლო არასწორ ჯდომას ნერწყვლის გამრუდება მოსდევს, უმოძრაობას კი—ჭარბი წონა. ხოლო ემოციური დაძაბულობა და სტრესები, რომლებსაც მოთამაშეები ძალადობის და მონსტრებთან ბრძოლაში საყვარელ პერსონაჟთა დაღუპვის გაუთავებელი სცენების ყურებისას განიცდიან,

კომპიუტერული აზრი და პატარა

ქვეყნის მეცნიერთა და სპეციალისტთა ბოლოდროინდელი გამოკვლევები ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ უამრავ დადებითთან ერთად კომპიუტერს უარყოფითიც ბევრი აქვს და ეს განსაკუთრებით ბავშვებს ეხება. ბავშვის ფსიქიკაზე კომპიუტერის მავნე ზეგავლენაზე რომ ლაპარაკობენ, პირველ რიგში მხედველობაში კომპიუტერული თამაშები აქვთ. დღეს, როდესაც სხვადა-

კომპიუტერი სწორედ რომ საუკეთესო გამოსავლად მოგვევლინა. ჩართეთ ელექტრონული თამაში და მორჩა—ბავშვის თავისუფალ დროსთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოიხსნება, საათობით იჯდება იგი კომპიუტერთან და აღარც ეზოში ჩასვლას მოითხოვს და აღარც ამხანაგებთან წასვლას, მაგრამ... მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ვიდეთამაშები გონებას კი უვითარებს და სახლშიც აჩერებს ბავშვებს, მაგრამ ამასთან ფსიქიკას უზიანებს. ასეთ დასკვნამდე მიდიან დღეს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიის ქალაქ ბონუმის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა 8-დან 14 წლამდე ასაკის 280 ბავშვზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დაასკვნეს, რომ ძალადობის სცენებით გაჭერებული კომპიუტერული თამაშები აგრესიულს ხდის პატარებს. გამოკვლევის მონაწილე მოსწავლეებს თამაშების ორი ვარიანტი შესთავაზეს: შეიარაღებული ორთაბრძოლების გარეშე და ძალადობის

ელექტროგადამცემები ადევნებდნენ თვალს, მოზარდების სახის გამომეტყველებას კი ვიდეოკამერის მეშვეობით აკვირდებოდნენ. გამოირკვა, რომ ბავშვებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის „საბრძოლო თამაშები“ იტაცებენ, ძალადობის სცენების ხილვა ბევრად უფრო სიამოვნებთ. ამის საფუძველზე გერმანელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აგრესიული კომპიუტერული თამაშები თავისებურ ემოციურ სიყრუეს იწვევს, რაც გარშემო მყოფთა მიმართ თანაგრძობას აქვეითებს.

ასეთივე დასკვნამდე მივიდნენ მექსიკელი სპეციალისტებიც. ამ სამხრეთამერიკული ქვეყნის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის ბავშვთა ფსიქიკის კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა დაადგინეს: გარდა იმისა, რომ ელექტრონული თამაშების ხანგრძლივი თამაშის შედეგად ბავშვები აგრესიულები ხდებიან, გამოსახულების ხშირი ციმციმი და ხმის ეფექტების ცვალებადობა მხედველობისა და სმენის გაუარე-

არტერიულ წნევის ამადლებას იწვევს. ის კი არა, მექსიკელ მკვლევართა ნაწილი არ გამოირიცხავს, რომ შეიძლება თავადადებული მოთამაშეები მომავალში ბოროტმოქმედები გახდნენ, ვიდეთამაშეებში ბავშვებს ხშირად უჭირთ ბოროტისა და კეთილის გარჩევა. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ისეთივე შედეგი მივიღოთ, როგორიც „კინობოგევიკების“ ყურებისას, რომელთა დამღუპველმა ზეგავლენამ მოზარდ თაობაზე უკვე არაერთხელ იჩინა თავი. სერიოზულად შეშფოთებული მექსიკელი სპეციალისტები ურჩევენ მშობლებს უფრო მეტი ყურადღებით შეურჩიონ შვილებს თამაშები და ეცადონ მათთან ერთად ითამაშონ, რათა დროულად მიაწოდონ კომენტარები სასტიკ სცენებთან დაკავშირებით და აუხსნან რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია და რომ სინამდვილეში ცხოვრებაში ასე არ უნდა ხდებოდეს.

კიდევ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი მეცნიერ-სპეციალისტები. სახელდობრ, ფსიქოლოგები.



დევიდ გრისმანის აზრით, თანამედროვე კომპიუტერული თამაშები გაცილებით ეფექტურად ასწავლიან კვლას, ვიდრე სპეცდანიშნულების ქვედანაყოფთა ინსტრუქტორები. დევიდი თავად მრავალი წელი ასწავლიდა ჯარისკაცებსა და პოლიციელებს როგორ უნდა დაეძლიათ მკვლელობის ფსიქოლოგიური ბარიერი. თვალსაჩინოება, რომელშიც მოთამაშე სამგანზომილებიან გამოსახულებებაში ვირტუალურ მოწინააღმდეგეებს უსწორდება, გრისმანის აზრით „მუხრუჭებისგან ათავისუფლებს“ ადამიანის შემაკავებელ ნერვულ ცენტრებს. ექსპერტს მიაჩნია, რომ „ვირტუალურმა მკვლელობებმა“ გარკვეული როლი ითამაშა სკოლებში მასობრივი მკვლელობების მოშინადადებში. მაგალითად, 19 წლის ჯაბუკი, რომელმაც ახლახან ერფურტში მასწავლებელი და მოსწავლეები ჩაცხრილა, თამაშობდა კომპიუტერულ თამაშს, რომელშიც მტრების თავიდან მოშორების ყველაზე „საიმედო“ საშუალებად თავში სროლა იყო. სწორედ ასე უსწორდებოდა მერე იგი ყველას, როდესაც რეალურ ცხოვრებაში გზაზე ხვდებოდა. ფსიქოლოგი გვაფრთხილებს, ასეთ გასართობებზე აღზრდილი თაობის მოწიფულ ცხოვრებაში შებიჯება რამდენიმე წელიწადში შეიძლება უკვე სასწავლებელში კი არა, სამუშაო ადგილზე მასობრივი მკვლელობებით აღინიშნოს. ამ საშიშროების


შემცირების ერთადერთი გზა გრისმანის აზრით, ასეთი თამაშების ასაკობრივი შეზღუდვების შემოღებაა.

კომპიუტერი კომპიუტერად, მაგრამ ხშირად ტელევიზორიც ცუდ საშუალებას უწევს ბავშვებს. ამის შესახებ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს რუსეთის განათლების აკადემიის განათლების სოციოლოგიის ცენტრის ექსპერტებმა. მათ ჩაატარეს გამოკვლევა „ძალა-

დობა ან ეროტიკული სცენა (რასაც ასევე საკმაოდ საეჭვო აღმზრდელობითი ეფექტი აქვს).

ამ არასაბავშვო „სურათების“ ჩვენების მხრივ კინოსეანსები ლიდერობს. სწორედ ფილმებზე მოდის ტელეეთერში გადაცემული ძალადობისა და ეროტიკის ნახევარზე მეტი—57 პროცენტი. მერე მოდის... რეკლამა—23,3 პროცენტი. დოკუმენტურ ტელევიზიაზე მოდის ძალადობის

მოკვლევის მონაწილეთა 16,2 პროცენტი თითქმის არასდროს თანაუგრძობს ძალადობის მსხვერპლს. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა კი აცხადებს, რომ მსხვერპლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ებრალება, თუ იგი დადებითი გმირია. შედარებით ნაკლებ მტკივნეულად აღიქვამენ მოზარდები მხატვრულ ფილმებს, რადგანაც ესმით, რომ ეს შეთხზული ამბებია. მაგრამ რაც უფრო ახლოსაა ტელევიზიით გამოცემული ამბავი რეალობასთან, მით უფრო ხშირია შიშის გაჩენა, რომლისგანაც ბავშვი შეიძლება რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში ვერ გათავისუფლდეს. ეს შიში კი იმაში გამოიხატება, რომ ნანახი განუწყვეტლივ მეორდება ბავშვის გონებაში, მას უვითარდება სიბნელის შიში, ღამის კოშმარები. ყოველივე ამის შედეგად კი ნევროტიული მდგომარეობა მოზარდებში რამდენიმე კვირას, ხშირად კი წლებით გრძელდება.



დობა და ეროტიკა ტელევიკრანზე მოზარდთა თვალთ“. გამოკვლევაში მონაწილეობდა მოსკოვის სკოლების მე-7, მე-9 და მე-11 კლასების 1152 მოსწავლე. საერთო დასკვნა: ტელევიზორს ერთობ საგრძნობი წვლილი შეაქვს სისასტიკის აღზრდაში და ეს „გაკვეთილი“ დღეში 2-3 საათს გრძელდება—საშუალოდ სწორედ ამდენ დროს ატარებს სკოლის მოსწავლე ტელევიზორთან. მაინც რას უყურებს, რას ხედავს მოზარდი ტელევიკრანზე? ყოველ 15 წუთში ერთხელ ეკრანზე ჩნდება აგრესიის აქტი, ძალა-

ყოველი მეცხრე სცენა. სატელევიზიო ახალი ამბების ანგარიშზე—სისასტიკის გამოვლინებათა 4,9 პროცენტი. თქვენ წარმოიდგინეთ აგრესიის მატარებლები ყოფილამულტფილმებიც. ყველაზე ხშირად ტელეეთერით აჩვენებენ მკვლელობებს, ჩხუბს და ცემას. ამასთან მკვლელობების, კატასტროფების, ავარიების და სტიქიური უბედურებების ჩვენებათა რაოდენობა თანმიმდევრულად იზრდება სადამოს საათებში. მიღებული მონაცემების საფუძველზე რუსმა სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ გა-

სერიოზულად დაუფიქრდი იმას, რაც ეს წუთია წაიკითხე და გაიცნობიერე, რომ ეს შენც გეხება. გაუფრთხილდი საკუთარ ფსიქიკას, მხედველობას, სმენას, მთელს შენს თავისუფალ დროს დისპლეის თუ ეკრანს მიჩერებული ნუ გაატარებ. გახსოვდეს, რომ ტელევიზორისა და კომპიუტერის გარდა არსებობს წიგნი, სპორტი, თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ეკლესია.



ჭიანჭველების მსახური

ჭიანჭველები კოლექტიურად მცხოვრები მწერები არიან და, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა აქვთ. მაგრამ როგორ ახერხებენ ამას, რა ენაზე?

სუნიან ნივთიერებებს, რომლებიც ჭიანჭველებს ერთმანეთთან ურთიერთობაში ეხმარება, ფერომონებს ეძახიან. ისინი ჭიანჭველებს საკმაოდ ბლომად აქვთ. ფერომონთაგან ერთი განგაშის ატეხას ემსახურებიან და ჭიანჭველებს დაუყოვნებლივ, გადამწყვეტი მოქმედებისაკენ „მოუწოდებენ“, მეორენი მუშა ჭიანჭველებს თავს უყრიან, მესამენი მათ ბუდის დასუფთავებას აძიულებენ, მეოთხენი—ჭიანჭველების მეთაურის—დედოფლის მოვლას, მეხუთენი —ჩვილი ჭიანჭველებისთვის ზრუნვას... ამჟამად ფერომონები ოქროზე ძვი-

ჩავატაროთ ასეთი ცდა: ჭიანჭველების ბუდის შორიანლოს ქაღალდის ფურცელი დავდოთ და ზედ შაქრის ვაჟინი დავაწვეთოთ, შემდეგ ფურცელზე რამდენიმე ჭიანჭველა დავსვათ და თვალყური ვადევნოთ.

აი, ჭიანჭველებმა ვაჟინით გული იჭერეს და შინისკენ გასწიეს. იქ, ეტყობა, თავისიანებს ყველაფერი „უამბეს“ და ახლა ჭიანჭველების მთელი რაზმი მოეშურება ნადავლისაკენ.

საკითხავია, რა ხერხებით ამცნეს თანამომეგებს შინ დაბრუნებულმა ჭიანჭველებმა ამა და ამ ადგილას ნუგბარი საჭმელიაო? თურმე—სუნის საშუალებით. ჭიანჭველის სხეულში არის განსაკუთრებული ჯირკვლები, რომლებიც სუნიან ნივთიერებებს გამოჰყოფს.


იმისთვის, რომ თვისტომს ახალამოჩენილი საკვებისაკენ გზა ასწავლოს, შინისკენ მიმავალი ჭიანჭველა პაწაწინა ჯირკვლებიდან სუნიან ნივთიერებებს გამოჰყოფს. ამ ნივთიერებებით გაჟღენთილი ნესტარი გზადაგზა მიწას ეხება და სუნიან ღრმულებს ტოვებს. სწორედ ამ კვალს მიჰყვება ნადავლისკენ მიმავალი სხვა ჭიანჭველა.

ჭიანჭველას შუბლზე აქვს ძალზე მოძრავი ულვაში—ანტენები და ყველაფერს, რასაც კი გზაში წააწყდება ამ ანტენებით ეხება და ყნოსავს.


მხედველობა ჭიანჭველას სუსტად აქვს განვითარებული, სამაგიეროდ, საუსტრო ენოსვით არის დაჭილდობებული: სუნით შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ რა ზომისაა ესა თუ ის საგანი.

ჭიანჭველები ხშირად ომობენ. როგორ არჩევენ ჭიანჭველა თავისიანს მტრისაგან? მეომარ ჭიანჭველებს ხომ არც განსაკუთრებული, „ჭარისკაცური“ ფორმა აცვიათ და ისინი არც საბრძოლო ყიჟინას გამოსცემენ!

ჭიანჭველას ამ დროს ულვაში-ანტენები ეხმარება, შეახებს თუ არა ამ ანტენას თავის ახლო მყოფს, მაშინვე ხვდება, თავისიანი თუ უცნოა.



სუნიანი ნივთიერებები, რომლებსაც ჭიანჭველა თავის გზაზე ტოვებს, ძალიან მალე, თითქმის ორი წუთის მერე აქროლდება ხოლმე. ამასაც თავისი ღრმა აზრი აქვს: ძველმა კვალმა ჭიანჭველა არ უნდა შეაცდინოს. გარდა ამისა, იგი სუნის სიმძაფრის მიუხედავად იგებს, რა რაოდენობის საკვებია აღმოჩენილი. შინ მიმავალი ჭიანჭველა სუნიან ნივთიერებებს მხოლოდ მაშინ გამოყოფს, თუ მან საკვები იპოვნა, თანაც ბევრი საკვები. რაც უფრო დიდი რაოდენობით არის საკვები ნაპოვნი, სუნიანი ღრმულები მით უფრო ახლოს არიან და სუნიც უფრო მძაფრია.



რია, მათი მიღება ძალზე ძნელია.

წინათ ეგონათ, თითქოს ჭიანჭველები თავიანთ „მიცვალებულს“ მარხავენ. აღწერილი იყო, როგორ მიემართებოდა ორ მწყრივად დაწყობილი ჭიანჭველების სამკლოვი-არო პროცესია, როგორ გათხარეს საფლავი და ასე შემდეგ, მაგრამ ახლა ცნობილია, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. ჭიანჭველები დახოცილ ამხანაგებს თავიანთი ბუდიდან მოშორების მიზნით ერთი-მეორეზე აწყობენ. ამას აძიულებს მათ განსაკუთრებული ფერომონი, რომელიც ჭიანჭველის გვამის გახრწნის შედეგად წარმოიქმნება.

ჭიანჭველები დიდი პეწენიკები არიან. მათ ბუდეში მუდამ სანიმუშო სისუფთავება, თვითონაც ყოველთვის სუფთად არიან.

ჭიანჭველას ბევრი ძილი არ უყვარს, სულ რაღაც სამი საათი თუ სძინავს, ოღონდ, მისთვის სულერთია როდის დაიძინებს — დღისით თუ ღამით. ამ დროს თუ კარგად არ შეანჯღრე, არ გამოედვიძება.

ჩვეულებრივ, ჭიანჭველის ქცევები ინსტიქტურია, იგი თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებული პროგრამით მოქმედებს, მაგრამ ზოგჯერ, როცა რაიმე მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდება, აღმოჩნდება, რომ მას ინტელექტის რაღაც ნაწილი მაინც ჰქონია.

მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, სამხრეთამერიკული ჭიანჭველების გზა ტრამვაის ლიანდაგზე გადიოდა. ტრამვაი წამდაუწუმ ჟღერდა მათ. ჭიანჭველებიც ადგნენ და ლიანდაგის ქვეშ გვირაბი გაიყვანეს. როცა აქაც შეუშალეს ხელი, გვირაბი სხვა ადგილას გაჭრეს.

ერთხელ მეცნიერებმა იმ ხის ღეროს, რომელზეც ჭიანჭველები არბოდნენ და ჩამორბოდნენ, ფისის რგოლი შემოატარეს. ამ მოულოდნელ დაბრკოლებას ჭიანჭველები დიდად არ შეუშფოთებია: მიწა და კენჭები ამოზიდეს და რგოლზე ხიდი გადეს, სხვა ცდის დროს კი ფისის რგოლი მდილის გვამებით მოკირწყლეს.

საეზი




ოფთშსერი ტირის სანთელი

ფიჩის სანთელი, იღუნთუმა
და ცხელი ცბომლი სწყდრემა წამწამუმს,
კუნესის სანთელი უთქმულთმის
აწუხუმს დაბდი,
მთლთს ბთმ ულას აიფანა
ფანჯუა ამდენი
ჩამთიღუნთა, ჩამდენა და
მთუდა სანთელი.

*ნანა ბუცბრიკიძე,
ადიგენის რაიონი, დაბა
აბასთუმნის საშუალო სკოლის მე-5 კლასი*

დგანან სეუმი,
ამაცუმი, ლამაზუმი,
მთბიდან გუიმზურენ,
გვილიმიან და
სელს გვიდნუენ,
გუენუმნიან:
კაბგია სამცაბთ,
კაბგია სიცთცსლუ,
ნუ მთგუჭბით,
ლაგუინდუთ,
გუაცთცსლუთ,
გუაცთცსლუთ.

*გვანცა იდოიძე,
ადიგენის რაიონი, დაბა
აბასთუმნის საშუალო სკოლა, მე-7 კლასი.*



*მარგალიტა ბელოვა
დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის III კლასი*




*ზვიად გიქოშვილი
დაბა აბასთუმნის საშუალო სკოლის V კლასი*



წარმოიდგინე...

როგორც იქნა, ხორცი შე-
ისხა ფრანგი ფერდინანდ მარი
დე ლესეპსის ოცნებამ, საზე-
იმოდ გაიხსნა სუეცის არხი,
რომელმაც ხმელთაშუა და წითელი ზღვები შეაერთა. ვი-
კონტი დე ლესეპსი დიპლომატი გახლდათ და ამ სარბიე-
ლზე წარმატებითაც მოღვაწეობდა ლისაბონში, ტუნისში,
როტერდამში, მალაგაში, ბარსელონაში, მადრიდში, ბერნში,
კაიროში. მისი დიპლომატიური კარიერა 1849 წელს და-
მთავრდა რომში. მას შემდეგ რაც საფრანგეთის ჯარის ნა-
წილებმა ქალაქი დაიკავეს, საკუთარი მთავრობის პოლი-
ტიკისადმი პროტესტის ნიშნად კონსული ლესეპსი გადა-


რომელსაც მაშინ ეგვიპტე
ეკუთვნოდა და მშენებლობის
შეჩერება მოითხოვა. შეშინე-
ბულმა საიდმა ეგვიპტელი
მუშები დაითხოვა და განზე
გაღდა. არხის ბედი ნაპოლეონ
III-ის პირადმა ჩარევამ გადა-
წყვიტა. ინგლისელთა პროტე-
სტის მიუხედავად მუშაობა
განახლდა, თუმცა საქმე შეფერ-
ხებებისგან არც მერე ყო-
ფილა დაზღვეული. ასე იყო



ხუჩატურ აგაიანი

1871 წელი, იანვარი. ეგვიპტე, კაირო

დგა. მის შემდგომ საქმიანობას ზღვებს შორის არხების მშე-
ნებლობას თითქმის საერთო არაფერი ჰქონდა ლესეპსის დი-
პლომატიურ მოღვაწეობასთან, მა-
გრამ სწორედ კაიროში საფრანგე-
თის კონსულად მუშაობის პერი-
ოდში გაეცნო იგი საფუძვლიანად
ეგვიპტის ისტორიასა და გეოგრა-
ფიას და მაშინვე ჩაიფიქრა ხმე-
ლთაშუა და წითელი ზღვების
არხით შეერთება. ფრანგმა დი-
პლომატმა საუცხოო უწყოდა, რა-
ოდენ დიდი სარგებლობის მოტანა
შეეძლო საზღვაო მოვაჭრეები-
სთვის ევროპიდან ინდოეთამდე და
შორეულ აღმოსავლეთამდე გზის
საგრძობლად შემოკლებას.



ხუჩატურ აგაიანი

კაიროში მუშაობის დროს ფერდინანდ დე ლესეპსი ეგვი-
პტის მაშინდელი ვიცე-მეფის ნათესავს, თავქარიან და ღო-
რმუცელა საიდ-ფაშას დაუმეგობრდა, რომელიც მოგვიანე-
ბით ეგვიპტის მმართველი გახდა. ეს რომ გაიგო, ლესეპსი
დაუყოვნებლივ ჩავიდა ალექსანდრიაში, საიდმა დიდებული
შეხვედრა მოუწყო მეგობარს, საჩუქრებითა და საპატიო წო-
ლებით აავსო. გადამდგარმა დი-
პლომატმა შესაფერისი დრო შე-
არჩია და ეგვიპტის მმართველს თა-
ვისი ოცნება გაანდო. საიდმა უყო-
ყმანოდ დაამტკიცა ლესეპსის პრო-
ექტი. ამ უკანასკნელსაც ეს
უნდოდა. ფერდინანდ ლესეპსი და-
უყოვნებლივ შეუდგა საქმეს, უა-
მრავ მუშას და ინჟინერს მოუყარა
თავი პოლიზიის ნაპირზე, სადაც
თანამედროვე ქალაქი უნდა გაშე-
ნებულიყო, რომელსაც ლესეპსის
მეგობრის საპატივსაცემოდ
პორტ-საიდი ეწოდა. 1859 წლის 25
აპრილს ფრანგმა ვიკონტმა ფერდი-
ნანდ დე ლესეპსმა ეგვიპტის მი-
წაზე წერაქვი დაპკრა და სუეცის
არხის მშენებლობა დაწყებულად
გამოცხადდა. იდეის სრულ ხო-
რც შესხმამდე ლესეპსიც და მშენე-
ბლებიც უამრავ სიძნელეს და წი-
ნაღმდეგობას წააწყდნენ, არხის
მშენებლობით აფორიაქებულმა
ინგლისმა დაიყოლია თურქეთი,

თუ ისე, ლესეპსმა თავისას მიაღწია, 1869 წლის ზაფხულში
სუეცის არხის მშენებლობა წარმატებით დაგვირგვინდა.
არხის გახსნაზე ლესეპსმა ისმაილ ფაშას თანდასწრებით სა-
ნიმეო სიტყვა წარმოთქვა: „35 საუკუნე გავიდა მას შემდეგ,
რაც მოსვის ბრძანებით წითელი ზღვის წყალი უკუიქცა. ახლა
კი ეგვიპტის მმართველის ბრძანებით იგი კვლავ დაუბრუ-
ნდა თავის ადგილს!“ არხი გახსნილად კი გამოცხადდა, მა-
გრამ არხში მოვარდნილმა წყალმა ლამის ფაშაც დაანარჩო
და ლესეპსიც.

ეს 1869 წლის 17 ნოემბერს მოხდა. მოგვიანებით კი კა-
იროში გაიმართა დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე
ვერდის ბრწყინვალე ოპერა „აიდას“ პრემიერა. ოპერა ვე-
რდის სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით შეუკვეთეს.


„ოპერამ გამიტაცა, წარმოიდგინეთ! მე კაიროსთვის ვწერ
ოპერას!!!!... ორი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, კა-
იროსთვის დაწერო, შეშლილად ჩავთვლიდი, ახლა კი ვხე-
დავ, რომ ეს შეშლილი მე თვითონ ვარ“—წერდა კომპოზი-
ტორი. ვერდი გულმოდგინეთ ეცნობა ლიტერატურას ეგვი-
პტის ისტორიას, რელიგიის და არქეოლოგიის შესახებ, ეთა-
თბირება მომდერალს, მომავალი ოპერის ლიბრეტოს
ავტორს ანტონიო გისლანცონის და მცირე შესწორებების
შეტანის შემდეგ ხელს აწერს ხელშეკრულებას, რომლი-
თაც ვალდებულდება იღებს დაწეროს ოპერა ეგვიპტურ თე-
მაზე. „აიდას“ პრემიერა 1871 წლის იანვრისთვის დაინი-
შნა.

პრემიერამ პოცონის, გროსის, მანჯინის, შტელერის და
მედინის მონაწილეობით დიდი წარმატებით ჩაიარა. კა-
იროდან მოდის ტელეგრამა: „აიდა“. აღტაცებული წარმა-
ტება. მწვერვალი მისი მეორე ფინალი იყო. ყველა მსახი-
ობი ზეიმობს. ორკესტრი შესანიშნავია. დიდებული მი-
ღება „... მეორე ტელეგრამა: „აიდას“ პრემიერა ტრიუმფა-
ლური წარმატება. არც ერთ ნომერს არ შეხვედრიან ღუ-
მილით“...

კაიროს პრემიერის შემდეგ იწყება ვერდის ამ დიდე-
ბული ოპერის ტრიუმფალური სვლა მსოფლიო საოპერო
სცენებზე. 1872 წლის თებერვალში შედგა „აიდას“ პრე-
მიერა მილანის „ლა სკალაში“ პრემიერამ ბრწყინვალედ
ჩაიარა, მას თავად კომპოზიტორიც ესწრებოდა. იგი კმა-
ყოფილია: „... დიდებულია; როგორც მთლიანობაში, ისე
ცალ-ცალკე დიდებული შესრულება იყო, ასევე დადგამაც...
არ მინდა თავმდაბლობა გამოვიჩინო: ეს ოპერა ნამდვი-
ლად ყველაზე ნაკლებად ცუდია ყველა იმ ოპერას შო-
რის, რაც დამიწერია. დრო მიუჩენს მას კუთვნილ ადგილს“.

დრომ კი ჯუზეპე ვერდის ამ შესანიშნავ ქმნილებას სა-
მუდამოდ დაუმკვირდა ადგილი მსფლიო ყველა საოპერო
სცენაზე.





კვიტონის კოფოუები

1. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე აღმართული დიდი მგონის კაბლის ავტორია...

- ა) მერაბ ბერძენიშვილი
- ბ) ელგუჯა ამაშუკელი
- გ) გიორგი ოჩიაური




2. ორკუზიან აქლემს ჰქვია...

- ა) დრამედერი
- ბ) ბაქტრიანი
- გ) გერდნერი



3. ლათინური ამერიკის ქვეყნების მცხოვრებთა ამ ტრადიციულ სამოსს ჰქვია...

- ა) პუნჩო
- ბ) პონჩო
- გ) სანჩო



4. რომელმა რუსმა მწერალმა დაიბარა ანდერკაღ, რომ მოვკვდები, თბილისში, მაამაღავითზე დამასაულავითო?

- ა) ლევ ტოლსტოიმ
- ბ) ალექსანდრე გრიბოედოვმა
- გ) მაქსიმ გორკიმ



5. ძალაქი, რომლის თავაღაც ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწენიკონიკოლაქე აირჩიეს, იყო...

- ა) ქუთაისი
- ბ) თოფი
- გ) ბათუმი



6. სურათზე აღბეჭდილი პიროვნება არის ქართველი კომეტი, დრამატურგი, კუბლიცისტი და კრიტიკოსი, ერეკლე II შვილიშვილი, თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი...

- ა) გრიგოლ ორბელიანი
- ბ) ალექსანდრე ორბელიანი
- გ) ვახტანგ ორბელიანი



რატომ ვამბობთ ასე?

• **მე საყვარელი ამიგარბუნა**—უვალა ვარ, არაფერი და-
მიშავებია. ძველად ვინმე რამეს რომ მოიპარა-
ვდა, უბეში ინახავდა, ხოლო თუ დაიჭერდნენ,
პერანგის საყელოს ამოაბერტყვინებდნენ, რათა
ნაპარავიც ამოჭყოლოდა. თუ უდანაშაულო იყო,
თავისი სიმართლის დასამტკიცებლად საყელოს
ამოიბერტყავდა და თან დაატანდა: მე საყელო
ამიბერტყიაო...

• **მეხანავე გოჭი**—მეტეჩარა, არამკითხე მოამბე.
ღორს ლუწი ძუძუები აქვს, არანაკლებ რვისა ან
ათისა, კარგსა და ჭიშიან ღორს კი თორმეტეც
აქვს ხოლმე. დედა ღორს იმდენი გოჭის გამო-
ზრდა შეუძლია, რამდენიც ძუძუ აქვს. აქედან
გამომდინარე, გოჭების რაოდენობა ძუძუებზე
მეტი არ უნდა იყოს, ზედმეტ გოჭს მშიერად და-
რჩენა ემუქრება. ხატოვანი გამოთქმა „მეცამეტე
გოჭი“ დაცინვით იხმარება იმ ადამიანის მიმართ,
ვინც მეტჩირობს, სხვის საქმეში ერჩება.

• **აღლილოზა სიარული**—კარდაკარ სიარული, შინ გა-
უჩერებლობა. ქრისტეშობის წინა საღამოს სო-
ფლის ბიჭები კარდაკარ დადიოდნენ და გალო-
ბით ულოცავდნენ თანასოფლელებს ქრისტეს
დაბადების ამბავს. აქედანაა წარმომდგარი თქმა
აღლილოზე დადისო ისეთ კაცზე, რომელსაც ერთ
ადგილზე არ ეჯდომება და კარდაკარ დადის მე-
ზობლებში, ხან ვისთან და ხან ვისთან.

• **მსხვილად ფქვავ!**—მიჭქარავ, გონივრულად არ
ლაპარაკობ.

• **სიუთა შენი**—ბარაქა ღვთისაო—კარგი ხელი გა-
ქვს, გულუხვი ხარ. სიტყვა „სიფთა“ აღებ-მიცე-
მაში იხმარება, როცა ვაჭარი დილით საქონელს
გაჭყიდის და პირველი მუშტარი პირველად მი-
სცემს საქონლის ფასს, ამას სიფთა ჰქვია. თვით
სიტყვა არაბულია და პირველს, დაწყებას ნი-
შნავს.

• **სამაჰირიკა**—ცეტი, ჭკუანაკლული, მოსულელი.
კახეთის ერთ-ერთი მეფე, რომელსაც კვირიკე
რქმევია, მეტად ცეტი ვინმე ყოფილა. ეს თქმა
იქიდან მოდის და დღეს მოსულელს ცეტკვი-
რიკესაც უწოდებენ.



სიტყვის კონა

- ულაყი—მამალი ცხენი
- ფაშატი—დედალი ცხენი
- აჯილღა—დაუკოდავი ულაყი
- ურა—გაუხედნავი მამალი კვიცი
- უხელო—გახედნილი, მამრამ შეუკანავი ცხენი
- ტაიჭი—დაკოდილი ულაყი
- ჰუნე, მერანი, თოხარიკი, ჯი-
ნიგი—ჯიშიანი, გვარიანი ცხენი
- ღელე—პატარა ხევი
- ღლაგუცი—ღაზღანდარობა
- ქნა—მომკილი თავთავის კონა
- ქრო—ფსკერი, ძირი
- ქუქუმატი—ვინმეცთან ერთად
ქუქუთი გაზრდილი (თლტლდ
არა ძმა ან და).
- წინდი—იგივეა, რაც ზირაო

სპორტი

სპორტი

სპორტი

სპორტი

მხატვრული ცანცარიში

თურქეთის ქალაქ იზმირში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში ჩინებულად იასპარეზა განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღზრდილმა, ცამეტი წლის ქეთევან ხატიაშვილმა, რომელსაც ბურთითა და რგოლით ვარჯიშში ვერცხლის მედალი ერგო, მრავალჭიდიშო კი—ბრინჯაოსი. უკეთესი შედეგი აჩვენა ქეთი ნომ კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ბულგარეთში ჩატარდა. იზმირიდან პირდაპირ ვარნაში ჩასულმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ ბურთით ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვა, მრავალჭიდიშო კი—კვლავ ბრინჯაოსი.

ბაცუცხე სცომა

საუცხოოდ იასპარეზეს შვეიცარიის ქალაქ სენტ-მორისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბატუტზე ხტომაში საქართველოს წარგზავნილებმა. „ნისანის თასის“ მოსაპოვებლად სამი ჩვენი ნორჩი სპორტსმენი იბრძოდა და სამივემ სხვადასხვა სინჯის მედლით დაიმშვენა მკერდი. თასი და ოქროს მედალი მოიპოვა 12-16 წლიანთა ჯგუფში მოასპარეზე 15 წლის თენგიზ კოშკაძემ, ამავე ასაკის გოგონებში გამოდიოდა ლუბა გოლოვინა, რომელმაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, მეოთხე საპატიო ადგილზე გავიდა თანატოლთა შორის 17 წლის სოფიო გულიაშვილი. ლუბამ და სოფიომ სინქრონულ ხტომაში იყოჩაღეს და ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ფეხბურთი

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ნორჩ სომეხ ფეხბურთელთა გუნდი „ნორგ-ვარაში“, რომელმაც ქართველ თანატოლთა რამდენიმე გუნდთან გამართა მატჩები. 1988 წელს დაბადებული ბიჭებისგან შემდგარმა გუნდმა დიდი ანგარიშით 6:3 დაამარცხა ერევნელთა გუნდი, ფრედ 0:0 ითამაშეს 16 წლის შევარდენელებმა, მათმა თანატოლმა „მერანის“ წევრებმა კი—2:2. სამაგიეროდ „ავაზას“ ორივე ასაკის გუნდებმა იმარჯვეს, პირველმა 3:2 დაამარცხა „ნორგ-ვარაში“. მეორემ კი—2:1.



ძიუ-დო

სპორტსაზოგადოება, მართვეს დარბაზში გამართა ჭაბუკ ძიუდოსტთა მორიგი ტრადიციული ტურნირი, რომელიც ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენას ისახავს მიზნად. მასპინძელთა გარდა ტურნირში-მონაწილეობდნენ ოლიმპიური მომზადების ცენტრის, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის, თბილისის № 38 კომპლექსური სპორტსკოლების აღსაზრდელები, მოჭიდავეები მარტყოფიდან—სულ 80-მდე ფალავანი. თავი ისახელებს მარტყოფელებმა ავთანდილ შპეტიშვილმა, გიორგი შინჯიკაშვილმა, ილია ქევნიშვილმა, არჩილ შინჯიკაშვილმა, კახაბერ შპეტიშვილმა, ირაკლი თაბუაშვილმა (№3 სპორტსკოლა), ნუკრი მიღრიჩანაშვილმა, ლევან სარალიძემ, ლევან ზარდიაშვილმა, გიორგი კობიაშვილმა („მართვე“), დავით ქოთუაშვილმა, თორნიკე ქინქლაძემ (ორსი) და ლევან გიქაშვილმა (დიდი ლილო). ყველაზე ნორჩი მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა „მართვეს“ წარმომადგენელს გუგა გრიგოლიას, რომელიც 23 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა.

ხაყიყუნჭაყლას

ბურღი

ბააჴერადე

ყოჩივარდას საკუჭნაო

ნიკო კეცხოველი


ერთი ბურჭის ძირას ყოჩივარდას პირისფერ ყვავილს მო-
ელერებინა ყელი. თავი მოსწონდა, რომ ჭერ თოვლი ყვე-
ლგან არ აედო და ენძელასაც კი დაასწრო თვალის გახედა.
მიხედ-მოიხედა, მარტო თხილს გაეკეთებინა საყურები და
ჩიტისთვალა მოიწვედა მიწის ჴევით.

—არა, ყველას უნდა ვაჯობო,—თქვა გულში. მისმა ყვა-
ვილმა გრძელ ყუნწზე საჩქაროდ კოლოფი გაიკეთა, კოლო-
ფში კი პაწაწინა თესლებმა იწყეს მომწიფება.

სად იყო, სად არა, იმ ბურჭთან, სადაც ყოჩივარდა ამო-
წვერილიყო, ყვავი ჩამოფრინდა. შიოდა და ლუკმას ეძე-
ბდა. ბურჭის ძირას ყოჩივარდას კოლოფი დაინახა და ნისკა-
რტლადებული მისკენ გაეშურა.

ყოჩივარდამ დაინახა, შიშისგან გააჴრჴოლა და კინადამ
გული გაუსკდა.

კოლოფს გრძელი ყუნწი დაახვია, დაახვია და დაამო-
კლა, ისე დაამოკლა, რომ კოლოფი მიწაში ჩაიტანა და გუ-
ლში ჩაიხუტა. მოყვანჩაღდა ყვავი ბურჭთან და გაშეშდა.
ალარ არის, რასაც ელოდა. გაბრაზებულმა გაჭკრა ფრჩხილი
ძეძვის ბურჭის ღეროს, ფრჩხილი ძეძვის ეკალს ჴედ შერჩა.



დაუკარგავს მამლაყინწას ფრთები ფერად-ფერადი,
იმიტომაც ილუშება, ხასიათზე ვერ არის,
დაეხმარეთ, მიეშველეთ, აიჭრელოს ბუმბული,
თორემ ნახავს და შეარცხვენს ჴორიკანა გუგული.



ყვავმა დაინახვლა და ფრთების ლახლახით ტყისკენ მოუსვა...
ყოჩივარდა კი სიცილით იგუდებოდა. უხაროდა, რომ კო-
ლოფი გადაარჩინა. ძეძვის ეკალზე შერჩენილი ფრჩხილი
ჩამოიღო და გვერდით მოიღო, რომ სხვა დროსაც არ დავი-
წყებოდა კოლოფის მიწაში დროზე ჩამალვა.

ამიტომამა, რომ ჴოგან ყოჩივარდას ყვავისფრჩხილას უწო-
დებენ.


გამოიცანი



რომელი მულტფილმების გმირები არიან?

თუ ჯერ არ წაგიკითხავს... ინგლისელი უკაცრიელი კუნძულები

რაცომ არ მქონდა მხედარს თავი



„უთავო მხედარი“ მაინ რიდის საუკეთესო რომანია. წიგნის გმირები მუსტანგერი მორის ჯერალდი და მდიდარი პლანტატორის ქალიშვილი ლუიზა პოინდექსტერი პრერიაში შეხვდნენ ერთმანეთს. გადამდგარი კაპიტანი კასიუს კოლჰუნი დარწმუნებულია, რომ ლუიზა მისი ხვედრია და ამიტომ როცა ლუიზას და მორისის სიყვარულის ამბავს გაიგებს, მუსტანგერის მოსაკლავად მკვლელს დაიქირავებს. გარდა ამისა, იგი მორისს ლუიზას ძმას ჰენრისაც გადაჰკიდებს. ეს უკანასკნელი იკარგება. მის საძებნელად წასული რაზმელები ტყის პირას უჩვეულო მხედარს გადაეყრებიან, მხედარს თავი არა აქვს, მერე...

მერე რა იქნება, ამას შენ თვითონ გაიგებ, როცა ინგლისელი მწერლის, მაინ-რიდის „უთავო მხედარს“ აიღებ ხელში. გვერწმუნე, თსრობა ისე გაგიტაცებს, რომ კითხვის შეწყვეტა გაგიჭირდება.

თომას მაინ რიდი დაიბადა ირლანდიაში, მღვდლის ოჯახში. მშობლები მასაც ღვთის მსახურად ამზადებდნენ, მაგრამ სასულიერო კოლეჯში იგი სიამოვნებით მხოლოდ ძველ ენებს სწავლობდა და სპორტით იყო გატაცებული. თავგადასავლებისა და მოგზაურობის მოყვარული ჭაბუკი ამერიკაში წავიდა და ამერიკის არმიაში მოხალისედ ჩაეწერა. დაიჭრა და კაპიტნის წოდებით თადარიგში გავიდა. ბევრგან იყო, ბევრი რამ ნახა, მაგრამ ყველაზე მეტად ტენასის პრერია მოსწონდა და მერეც, როცა საბოლოოდ ინგლისში დასახლდა, ქვით ნაგებ ლონდონში პრერიის სივრცეები ენატრებოდა.



„უთავო მხედარიც“ პრერიაზეა, პრერიის ყვავილებსა და ბალახებზე, პრერიის ადამიანებზე. მაინ რიდის საფლავის ქვაზე ლონდონის კენსოლ გრინზე ამოკვეთილია სიტყვები მისი რომანიდან „სკალპებზე მონადირენი“: „ეს სარეველების პრერიაა; მას ასე შეცდომით უწოდეს. ეს სამოთხის ბაღია“.

ინგლისელმა მწერალმა დანიელ დეფომ წარმოუდგენლად მოკლე დროში, ორ თვეში დაწერა თავისი უკვდავი წიგნი „რობინზონ კრუზო“, რომელსაც მაშინ სულ სხვა სახელი ერქვა: „ცხოვრება, არაჩვეულებრივი და საოცარი თავგადასავლები იორკელი მეზღვაურის რობინზონ კრუზოსი, რომელმაც ოცდარვა წელი სრულიად მარტომ იცხოვრა უკაცრიელ კუნძულზე, ამერიკის ნაპირებთან, დიდი მდინარის ორინოკოს სათავესთან, სადაც იგი აღმოჩნდა გემის დაღუპვის შემდეგ, რომლის დროსაც დაიღუპა ხომალდის მთელი ეკიპაჟი მის გარდა, მეკობრეების მიერ მისი მოულოდნელი გათავისუფლების ამბით. დაწერილია თავად მის მიერ“.



მაშინ, 1719 წელს დეფომ არ მოისურვა საკუთარი ვინაობის გამოძევა, დღეს კი მისი სახელი მთელმა მსოფლიომ იცის. თავად მწერალი უკაცრიელ კუნძულზე არასდროს ყოფილა, მაგრამ იყო ადამიანი, რომელმაც სრულიად დამსახურებულად გაიზიარა მწერალთან ერთად მსოფლიო სახელი და დიდება. ეს ადამიანი გახლდათ ალექსანდრე სელკირკი. დიან, სწორედ ეს მეზღვაური იყო რობინზონის პროტოტიპი. 18 წლის ალექსანდრე სახლიდან გაიპარა და გემზე დაიწყო მუშაობა. მაგრამ მის ხომალდს მეკობრეები დაესხნენ თავს, გაძარცვეს იგი, ეკიპაჟის წევრები კი მონებად გაყიდეს. ალექსანდრემ გაქცევა მოახერხა და ახლა მეკობრეთა გემზე დაიწყო მუშაობა. დროთა განმავლობაში იგი კარგი მეზღვაური დადგა, ფულიც იშოვა და ლარგოში დაბრუნდა, მაგრამ შინ დიდხანს ვერ გაძლო და ისევ ზღვას მიაშურა. იგი გე „ხუთ პორტზე“ აიყვანეს შტურმანად. ალექსანდრე თავიდანვე ვერ შეეწყო კაპიტანს და მათი დაპირისპირება იმით დამთავრდა, რომ როცა გემი ხუან ფერნანდესის არქიპელაგს მიადგა, ურჩმა შტურმანმა მისი დატოვება გადაწყვიტა და უკაცრიელ კუნძულზე გადავიდა. სელკირკს ნავში ჩაუდგეს თოფი, გირვანქა საფანტი და ერთი დღის სამყოფი საქმელი. მოგვიანებით „ხუთი პორტი“ დაიღუპა, ეკიპაჟიდან კი რამდენიმე ადამიანი თუ გადარჩა. 1580 დღე გაატარა კუნძულზე ალექსანდრე სელკირკმა, ვიდრე ჰორიზონტზე იალქანს დაინახავდა, მალე მისი სახელი მთელმა ინგლისმა გაიგო, გაზეთები აჭრელებული იყო მასალებით კუნძულზე მისი ცხოვრების შესახებ. სელკირკი 1709 წელს გარდაიცვალა, ათი წლის შემდეგ კი გამოჩნდა დანიელ დეფოს საუცხოო წიგნი, რომელიც რამდენიმე თვეში რამდენჯერმე გამოვიდა და თუმცა საკმაოდ ძვირი ღირდა, თაროებზე არავინ აჩერებდა. ცხოველი ფანტაზიის წყალობით დეფომ შექმნა სამყარო, რომელიც თავად არასდროს ენახა და გვიამბო ამბები, რომლებშიც თავად მონაწილეობა არ მიუღია და იმდენად შესანიშნავად აღწერა ცხოვრება, უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, რომ მის „რობინზონ კრუზოს“ 300 წლის შემდეგაც გატაცებით კითხულობს სხვადასხვა ასაკის მკითხველი მთელ მსოფლიოში.

???

ეს მშვენიერი ფრინველი გვირგვინოსანი წეროა. იგი წეროთა რაზმს განეკუთვნება. ამ რაზმში სხვადასხვა იერის, ზომისა და ცხოვრების ნირის ფრთოსანთა 11 ოჯახი შედის. წეროს ოჯახი 11 სახეობას აერთიანებს. თავისი ანატომიური ნიშნებით და ცხოვრების წესით გვირგვინოსანი წერო ერთგვარად განსხვავდება თავისი თანამოძმეებისაგან. მაგალითად, სხვებისგან განსხვავებით, ბუდეს იგი დაბალ ხეებზე იკეთებს, ზოგჯერ დასასვენებლად ცხეებზე ჩამოჯდება ხოლმე. თავზე მას ძალიან ლამაზი ოქროსფერი გვირგვინი ადგას, შუბლს კი მრგვალი, შავი ხავერდოვანი ხალი უმშვენებს, მონაკვეთი თვალთან თეთრი ფერის აქვს. გვირგვინოსან წეროს შედარებით მოკლენისკარტი აქვს. სხვა წეროებისგან იგი იმითაც განსხვავდება, რომ ყიყინის მსგავს ხმას გამოსცემს, ცეკვით კი იგი დანარჩენი თვისტომებივით ძალიან ლამაზად ცეკვავს. გავრცელებულია აფრიკის სტეპებსა და საჰარის სამხრეთით.



???

სიცილის გაუთილი

სკოლიდან დაბრუნებულ პიერს დედამ ჰკითხა:

—აბა მომიყევი, პიერ, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

—ზარის დარეკვას ველოდებოდი,—მიუგო პიერმა.

მასწავლებელი:

—სიცივეში ყველა საგანი იკუმშება, სითბოში კი ფართოვდება. ახლა კი დამისახელებთ ამ მოვლენის მაგალითები.

ნოვაჩეკი:

—არდადეგები, ზაფხულში ორი თვით ხანგრძლივდება, ზამთარში კი ორ კვირამდე მცირდება.

ბეტი:

—როგორ მიგიხვდა დედა, რომ არ გიბანავია?

ბილი:

—საბნის დასველება დამავიწყდა.

მასწავლებელი:

—ჯონ, რა არის, რომ ყოველდღე იგვიანებ?


ჯონი:

—რა ვქნა მასწ, სკოლაში რომ მოვდივარ, ყოველთვის მიწევს გამოვლა საგზაო მოძრაობის ნიშანთან, რომელსაც აწერია: „სკოლა—იარეთ ნელა“.

—მამა, დღეს, სკოლაში მშობელთა კრებაა, მაგრამ უაღრესად ვიწრო წრისათვის.

—რას ნიშნავს „უაღრესად ვიწრო წრისათვის“?

—იმას, რომ კრებაზე იქნებით მარტო მასწავლებელი და



შენ.

ჰანსი სკოლიდან ტანსაცმელში მოვლენილი დაბრუნდა,

—რა დაგემართა?— შეშფოთდა მამა.

—მე და ოტომ ვიჩხუბეთ.

—შენი საშველი არ არის, ეტყობა, ახალი კოსტუმის ყიდვა მომიწევს შენთვის.

—ეს რაა,—თავმომწონედ თქვა ჰანსმა.

—შენ ოტო უნდა ნახო! მამის ალბათ ახალი შვილის ყიდვა მოუწევს.

—დღიური მომიტანე, ვნახოთ, ერთი რა ნიშნები გაქვს.—უთხრა მამამ სკოლიდან დაბრუნებულ ანდრესს.

—ჩემი დღიური პოლს ვათხოვე, მინდა, ჩემი მშობლები შევაშინო.

—დედა, მე მგონი, ალექსს სკლეროზი დაეწყო?

—რატომ გგონია?!

—დღეს ორჯერ დაიბანა ხელ-პირი.

ტოტო სკოლიდან ძალიან განარებული დაბრუნდა.

—რა მოხდა, რა გინარია?— ჰკითხა დედამ.

—იცი, დე, მასწავლებელს ჩემი დასჯა უნდოდა, მაგრამ საკლასო ოთახის ოთხივე კუთხე დაკავებული იყო და ვეღარ დამსაჯა.

მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვებს ამოცანა მისცა: ხუთ ბავშვს ოთხი ვაშლი აქვს, როგორ უნდა გაიყონ მათ ვაშლები თანაბრად?

უცებ მარიუსის ხმა გაისმა:

—მე უკვე მოვიფიქრე!

—ყოჩაღ, აბა მიპასუხე!

—კომპოტი უნდა გააკეთონ.

პიერინო პურის მაღაზიაში შევიდა და 50 ლირის პური ითხოვა. გამყიდველმა აშკარად მოატყუა ბიჭი, წონაში დააკლო. პიერინო მიუხვდა და უთხრა, რატომ ამიწონეთ ნაკლებიო?

—შენთვის უკეთესი არ არის, უფრო ადვილად წაიღებ, —უთხრა გამყიდველმა.

—მართალი ხართ,—დაეთანხმა ბიჭი და დახლზე 40 ლირა დაუდო.

—ეს რა არის?!—გაბრაზდა გამყიდველი,—მე ორმოცდაათი მეკუთვნოდა.

—თქვენთვის უკეთესი არ არის, უფრო ადვილად დაითვლით ფულს.



კომიქსის უსასხეშ

კომიქსი (ინგლისური Comics სასაცილო), მოკლე ტექსტებით აღჭურვილი ნახატების სერიაა, რომელთა განმასხვავებელი, თუმცა კი არა განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა იუმორი და მუდმივი მოქმედი გმირები. თავდაპირველად კომიქსი ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვა. მერე კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თხრობითი ნახატების თანმიმდევრული მონაცვლეობა ტექსტობრივ „ბუშტებში“ მოლაპარაკის პირობაში არის ხოლმე მოცემული და ერთ მთლიანობას ქმნის. კომიქსებზე მომუშავე მხატვრები ფართოდ იყენებენ სახვითი ხელოვნებისა და კინოს გამომსახველობით შესაძლებლობებს. კომიქსები გამოდის ცალკეული საჟურნალო გამოშვებების სახით, ალბომების, პატარ-პატარა წიგნების სახითაც, იმავე დროს მათ გარკვეულ ადგილს უთმობენ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში და დიდებისათვის განკუთვნილ სქელ ილუსტრირებულ ჟურნალებში.



ზოგ ქვეყანაში კომიქსებიანი ყოველკვირეული ჟურნალ-ბროშურები, რომლებიც ან დასრულებულ, ან გაგრძელებებიანი ისტორიებს მოუთხრობენ მკითხველს, ნახევარმილიონზე მეტი ტირაჟი კი იბეჭდება, შედარებით ნაკლები დაახლოებით 300 000-მდე ეგზემპლარს შეადგენს ალბომები და მცირეფორმატიანი წიგნების ტირაჟი, რომლებიც თვეში ორჯერ ან წელიწადში ოთხჯერ გამოდის.

ასეთი კომიქსები თითქმის ყველა კიოსკსა და მაღაზიებში იყიდება, ისე რომ, ბავშვებს შეუძლიათ თვითონვე შეიძინონ

ისინი, მითუმეტეს, რომ მათი ფასიც ძირითადად ზომიერია.

ბოლო ხანებში კომიქსებში დიდი ადგილი დაიკავა მულტიპლიკაციურმა სერიალებმა. რ-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს ძირითადად თავშესაქცევ, სასაცილო ნახატ ისტორიებს სთავაზობენ. ასეთ კომიქსებში გამომსახველობითი მანერა კარიკატურას უახლოვდება, მოქმედ პირებს კი გაშარჟებული, ტიპიზირებული, სასაცილო ფიგურები წარმოადგენს.

უფრო მოზრდილი გოგო-ბიჭებისათვის განკუთვნილი კომიქსები უფრო ნატურალური ანიმაციური ხასიათისაა, მაგალითად, კომიქსები ზეგმირებზე. ყველაზე მეტად ბავშვებს მოსწონთ სათავგადასავლო ამბები, დეტექტივები, ისტორიები მოჩვენებებზე, განძის ძიებაზე, თუმცა, ზღაპრებსა და სამეცნიერო ფანტასტიკაზე აგებულ კომიქსებსაც მრავლად ჰყავს მკითხველი. იყო საბავშვო ლიტერატურის


კლასიკოსთა ნაწარმოებების კომიქსის ენაზე „თარგმანის“ ცდები, მაგრამ ეს პროცესი აუცილებლად მოითხოვდა ტექსტის შემცირებას, გადასხვაფერებას, რაც ლიტერატურული ნაწარმოების ხელყოფა-დამახინჯებას იწვევდა. სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამო კომიქსების შემქმნელებმა ხელი აიღეს ამგვარ ექსპერიმენტებზე. საზოგადოებრიობის, მშობლების, მასწავლებლების გარკვეული ნაწილი მაინცდამაინც არ იწონებს ბავშვების, მეტადრე მოზარდების გატაცებას კომიქსებით. ასეთთა

აზრით, კომიქსი კითხვისადმი ავტომატურ, ზედაპირულ, გაიოლებულ დამოკიდებულებას აჩვევს ბავშვს, რასაც თანდათან მოსდევს კითხვის სტიმულის დაკარგვა. კომიქსს ისე, თავის შესაქცევად ფურცლავენ, მოთხრობილი ამბის არსში და შინაარსში ჩაწვდომის სურვილის გარეშე.

მაგრამ, კომიქსიც არის და კომიქსიც. ჩვენ, მაგალითად, მიგვაჩნია, რომ გამართული, დახვეწილი ტექსტი და მაღალდონეზე შესრულებული მხატვრობა ხშირად ნამდვილად ღირებულ ნაწარმოებს ქმნიან, რომელიც აუცილებლად ტოვებს ბავშვის გონებაში, სულში, გულში გარკვეულ კეთილ მარცვალს.

ისე, რომ ჩვენც თქვენ გვერდით გვიგულეთ, კომიქსის მოყვარულებო, ის კი არა, გვინდა თანამშრომლობა შემოგთავაზოთ: გამოგვიგზავნეთ თქვენ მიერ გამოგონილი სიუჟეტები, ნახატები კომიქსებისათვის— შეიძლება, რომელიმე თქვენგანმა უკვე გამზადებული კომიქსიც მოიტანოს რედაქციაში.

დეპუტირი თავსატანს



—ათი წუთი იქნება. სრულიად შემთხვევით, იმიტომ რომ მუზეუმი უვიდ საათზე იხურება, ანუ ეს დარბაზი მე ორი საათის წინ დაგკეტე. ხვალ დილით უნდა გამეღო, მაგრამ ანაზღად გამახსენდა, რომ დარბაზში წიგნი დამრჩა, რომელსაც მაშინ ვკითხულობ, როცა ცოტა მნახველია. რომ დავბრუნდი, სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ რემბრანდტის ჩარჩო ცარიელი იყო.

თუმცა გვიან იყო, ინსპექტორი ვერნერი ისევ თავის კაბინეტში იჯდა. მას შემდეგი შინაარსის დებეშა მოუტანეს: „გაფრთხილებთ, მუზეუმიდან რემბრანდტის სურათს მოიპარავენ. მეგობარი“. როგორც კი დებეშა წაიკითხა, ინსპექტორი მუზეუმისაკენ გაეშურა, მაგრამ დარბაზში ცარიელი ჩარჩო დახვდა: ქურდს ტილო ამოეჭრა და წაეღო. ჩარჩოს წინ ორი ადამიანი იდგა: მოხდენილი ახალგაზრდა ქალი და მუზეუმის მცველი.

—მე პოლიციიდან გახლავართ,—მიმართა მათ ინსპექტორმა—ახლახან მაცნობეს, მუზეუმიდან რემბრანდტის სურათის მოპარვას აპირებენო. როგორც ჩანს, დამავგვიანდა. თქვენ მუზეუმის ადმინისტრატორი ბრძანდებით?—მიუბრუნდა იგი ქალს.

—ღიას,—მიუგო მან—ჩემი გვარია გროვერი. რამდენიმე წუთის წინ მცველმა შემატყობინა, რომ მოიპარეს ჩვენი კოლექციის ყველაზე ძვირფასი სურათი.

—როდის აღმოაჩინეთ, რომ სურათი მოპარულია?—ჰკითხა ინსპექტორმა მცველს.

—პირველად რომ ჩაკეტეთ დარბაზი, როცა მნახველთა შემოშვება შეწყდა, სურათი ადგილზე იყო?

—რა თქმა უნდა. დარწმუნებით მოგახსენებთ ამას, იმიტომ რომ დაკეტვის წინ, მტვერს რომ ვწმენდდი, რემბრანდტიც გავწმინდე. ჩარჩო რომ ცარიელი ყოფილიყო, აუცილებლად შევამჩნევდი.

—თქვენ რაღას ფიქრობთ, ქალბატონო, ყოველივე ამის შესახებ?—ჰკითხა ინსპექტორმა ქალს.

—მე მგონი, დებეშა თვითონ ქურდმა გამოვიგზავნათ. შეიძლება, ვინმე მანიაკია და უნდოდა თავისი დანაშაულით რაც შეიძლება მეტი ხმაური გამოეწვია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საგამოძიებო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევებიც ხდება.


—მართალი ბრძანდებით. მაგრამ მე მგონი, რომ ქურდობა ან თქვენი ჩადენილია, ან დარაჯის. არ დავიძალავთ, დარწმუნებით ვიცი, რომელი თქვენგანია ბოროტმოქმედი.

ვინ იგულისხმა ინსპექტორმა?



იქილედ-მიქილედ

კროსვორდი




თარაზულად: 1. ზბეგის ნაწარმოების ინგლისელი მწერალი; 2. ალმაცერის სინონიმი; 6. მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის მიერ განვლილ გზას; 9. ინდონეზიის კუნძული; 11. რქის ნალარა; 12. ყა-

13. სატელეგრაფო ანბანი; 17. მიწის დასამუშავებელი ხის იარაღი ძველად; 18. ფრინველის მიერ შეკრული კამარა; 20. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 21. ბერძნული ანბანის ასო.


23. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

შეუღალად: 1. კორეის ქალაქი; 2. საქართველოს მდინარე; 3. ჭრილობის სინონიმი; 4. ტყის ბინადარი ცხოველი; 5. პარკოსანი მცენარე; 7. ლაშქრის სინონიმი ძველ ქართულში; 8. თმის საღებავი; 10. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 11. ცნობილი ფრანგი მწერალი; 14. მყარი საწვავი, მიღებული ქვანახშირის გახურებით; 15. საღურგლო იარაღი; 16. სამჭედლო იარაღი; 17. გამხმარი ხილი; 19. ევროპის მდინარე? 20. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 21. ბერძნული ანბანის ასო.

როგელი მოერბება?




შეაერთე ციფრები



ნახატზე არც მესამე მუსიკოსი ჩანს და არც საკრავი, რომელზეც ის უკრავს. თუ თანმიმდევრობით შეაერთებთ ციფრებს, მუსიკოსსაც დაინახავთ და მის საკრავსაც.

თავსატახი



დგანან თამარი, ზინაიდა, სოფიო და ზოია. თამარი რომ წავიდეს, ზინაიდა მწკრივში მეორე აღმოჩნდება. თუკი სოფიო წავა, მაშინ პირველი იქნება თამარი. ვინ ვის შემდეგ დგას?

თბილისის 112-ე სკოლა, II კლასი.
სკოლმძღვანელი
მარტა მამულაშვილი



თბილისის 112-ე სკოლა, I კლასი.
სკოლმძღვანელი
ანელი საბუთაშვილი



თბილისის 112-ე სკოლა, I კლასი.
სკოლმძღვანელი
თეოდოზე შულაია



თბილისის 112-ე სკოლა, I კლასი.
სკოლმძღვანელი
ციტა ქაჩხაძე



ქვალციძის ბაიბანი, სთო. მალაქაის
სამუშაო სკოლა, V კლასი.
სკოლმძღვანელი
ციტა ჟებუაშვილი

